საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა
97
ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 24 (1040)
სამშაბათი, 7 მარტი, 1995 წელი.
ფასი 200 000 კუპონი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

განკარგულება

საქართველოს სახელმწიფო მმართველობის სისტემაში საქართველოს რესპუბლიკის მაშველთა კორპუსის როლისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ

1995 წლის 3 მარტს რუსთავში მომხდარი ინციდენტის გათვალისწინებით და აგრეთვე, სახელმწიფო მმართველობის სისტემაში საქართველოს რესპუბლიკის მაშველთა კორპუსის როლისა და უფლებამოსილების განსაზღვრის მიზნით:

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა (ო. ფაცაცია) შექმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც 1995 წლის 20 მარტამდე მოამზადებს წინადადებებს სახელმწიფო მმართველობის სისტემაში საქართველოს რესპუბლიკის მაშველთა კორპუსის როლისა და უფლებამოსილების განსაზღვრისათვის.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 6 მარტი.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს

განცხადება

1995 წლის 3 მარტს მაშველთა კორპუსის სახელით 150-მდე შეიარაღებულმა პირმა ალყა შემოარტყა ქ. რუსთავის მერიას, გადაკეტა მისასვლელი გზები, შეიჭრა ქვემო ქართლის მხარეში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის ლ. მამალაძის სამუშაო კაბინეტში, სადაც სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მას, ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრეს პოლიციის მუშაკი.

ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის, უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები ვგმობთ 1995 წლის 3 მარტს ქ. რუსთავში მომხდარ ინციდენტს და ვაფასებთ მას, როგორც სახელმწიფოს ინტერესების, პიროვნების სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფას, რაც გამოირჩეოდა განსაკუთრებული თავხედობით, ცინიზმით, ადამიანის უფლებების უგულებელყოფით და კანონის სრული უპატივცემლობით.

მაშინ, როდესაც ამ ბოლო დროს რესპუბლიკაში ჩვენს მიერ გატარდა გადამჭრელი ღონისძიებები უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღებისა და დაშლის მიზნით, მოულოდნელი იყო მაშველთა კორპუსის სახელით 150-მდე კბილებამდე შეიარაღებული პირის გამოჩენა, რაც იარაღის შესახებ საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის სრული უგულებელყოფაა.

ჩვენ, საქართველოს თავდაცვის, უშიშროებისა და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები, მთლიანად მხარს ვუჭერთ ამ ფაქტთან დაკავშირებით 1995 წლის 4 მარტს ქ. რუსთავისა და ქვემო ქართლის მხარის საზოგადოებასთან შეხვედრის დროს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებსა და მოთხოვნებს. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია დაზუსტდეს საქართველოს მმართველობის სისტემაში მაშველთა კორპუსის როლი და უფლებამოსილებანი.

1995 წლის 3 მარტს ქ. რუსთავში მომხდარ ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, რომლის ობიექტური გამოძიება უზრუნველყოფილი იქნება.

ჯამლეთ ბაბილაშვილი,
საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი;

ვარდიკო ნადიბაიძე,
საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი;

შოთა კვირაია,
საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი;

იგორ გიორგაძე,
საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის თავმჯდომარე.

მოქალაქეთა კავშირის პოზიცია

1995 წლის 3 მარტს რუსთავში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა გააკეთა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ 3 მარტს კრიმინალურმა სამყარომ გახსნილად და დაუფარავად გამოუცხადა ომი საქართველოს ხელისუფლებას. წინააღმდეგობა, რომელსაც წესრიგის დამყარებისათვის ბრძოლა უნდა წასწყდომოდა, მოსალოდნელი იყო. მაგრამ რუსთავის მერიაში მომხდარმა ფაქტმა თავისი თავხედობითა და სისასტიკით ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

3 მარტს რუსთავში შეიჭრა 150-ზე მეტი ორგანიზებული და კბილებამდე შეიარაღებული კაცი საქართველოს მაშველთა კორპუსის თავმჯდომარის გიგა გელაშვილისა და უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილის თემურ ხაჩიშვილის ხელმძღვანელობით. ისინი ქალაქის მერიის შენობაში შევარდნენ ცეცხლსასროლი იარაღით, დაჭრეს დაცვის თანამშრომელი და თავს დაესხნენ საქართველოს მეთაურის რწმუნებულს რეგიონში ლევან მამალაძეს. ეს იყო ქვემო ქართლის რეგიონში წესრიგისა და კანონიერების აღსადგენად განხორციელებული ოპერაციის პასუხი. კერძოდ, 2 მარტს წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორია და საავტომობილო ტრასა გაიწმინდა ყაჩაღური დაჯგუფებებისაგან. ამით რეალური საფრთხე შეექმნა საქართველოში ნარკობიზნესისა და კონტრაბანდის ერთ-ერთ უმთავრეს არტერიას. ლევან მამალაძე კი პირველი შეუნიღბავი თავდასხმის ობიექტად იქნა შერჩეული, რადგან მან დაიწყო უკომპრომისო ბრძოლა მათ წინააღმდეგ. უეჭველია, ხვალ იგივე ბედი ეწევა ყველას, ვინც დააპირებს ქვეყანაში მართლწესრიგის განმტკიცებას. საქართველოში განხორციელებული ტერორისტული აქტებისაგან განსხვავებით, ეს უკანასკნელი გამოირჩევა განსაკუთრებული ცინიზმით, როდესაც ორგანიზატორები არც კი მალავენ საკუთარ ვინაობას. არჩევანი აღარ არსებობს. ყოველმა ჩვენგანმა ან თავი უნდა დავუხაროთ ავტომატებითა და რაციებით აღჭურვილ ყაჩაღებს და ვაღიაროთ, რომ ისინი არიან ქვეყნის რეალური ბატონ-პატრონები, ან მათს თარეშს საბოლოოდ უნდა დაესვას წერტილი.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მოქალაქეთა კავშირი კატეგორიულად მოითხოვს ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყებისაგან დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება მომხდარ ფაქტზე, დააკავოს და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ორგანიზატორები, ასევე გადასინჯოს დღევანდელი სახით მაშველთა კორპუსის არსებობის მიზანშეწონილობის საკითხი. ყველამ უნდა იცოდეს, რომ კომპრომისების დრო აღარ დარჩა, ქვეყანა წესრიგს უნდა დაუბრუნდეს, — ნათქვამია მოქალაქეთა კავშირის განცხადებაში.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ბ. ხატიძის შიდა ქართლის მხარის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ბადრი ხატიძე შიდა ქართლის მხარის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის სახელმწიფო რწმუნებულად.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 6 მარტი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ვ. ხაჭაპურიძის შიდა ქართლის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირადი და სრულუფლებიანი წარმომადგენლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს ვაჟა ხაჭაპურიძე შიდა ქართლის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულის, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის პირადი და სრულუფლებიანი წარმომადგენლის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

ე. შევარდნაძე.

1995 წლის 6 მარტი.

ქართული ლარის საბოლოო ნიმუშები მოიწონეს

2 მარტს, საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე შეხვდა ჯგუფს, რომელიც მუშაობს ქართული ეროვნული ვალუტის ნიმუშების შექმნაზე. საფრანგეთის ფირმა „ფრანსუა-შარლ ობერტიურ ფიდუსიერის" ერთ-ერთმა დირექტორმა შოთა გედევანიშვილმა და საქართველოს სახალხო მხატვარმა ნოდარ მალაზონიამ, სახელმწიფოს მეთაურს წარუდგინეს ქართული ლარის საბოლოო ნიმუშები, რომლებიც ადრე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით შეიქმნა. წარმოდგენილი ნიმუშების მხატვრული დონე, მათზე საქართველოს ისტორიისა და კულტურის ასახვა მოიწონეს შეხვედრის მონაწილეებმა. ლარის ნიმუშებს მაღალი შეფასება მისცა სახელმწიფოს მეთაურმა.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი

„მზად ვარ ბოლომდე ვიბრძოლო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და სტაბილურობისათვის"

ედუარდ შევარდნაძის 6 მარტის რადიოინტერვიუ

— ქვეყნის რაიმე ეკონომიკურ გაჯანსაღებაზე ლაპარაკი ზედმეტი იქნება, თუ არ მივაღწიეთ კრიმინოგენური სიტუაციის გაჯანსაღებას. ამ მხრივ ქვემო ქართლის რეგიონში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის ლევან მამალაძის მცდელობას გარკვეული ექსცესები მოჰყვა რუსთავში. ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აქცია — ასე შეაფასეს ეს მოვლენა რუსთავში. ალბათ, გასული ეკონომიკური კვირის შეფასებისას ეს ფაქტიც გასათვალისწინებელი იქნება..., — ჟურნალისტ **ნატო ონიანის** ამ შეკითხვის პასუხად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა **ედუარდ შევარდნაძემ**, თავის ტრადიციულ რადიოინტერვიუში განაცხადა:

— ორიოდე სიტყვით შევეხები გასული კვირის ეკონომიკურ ცხოვრებას, რადგანაც ამ ერთი კვირის წინათ ჩვენ საკმაოდ დეტალურად ვისაუბრეთ ამ თემაზე. ვფიქრობ, ბევრი რამის განმეორება ახლა საჭირო აღარ არის. გაზაფხულის სახის კვირაში ეკონომიკური ცხოვრების მოვლენებიდან უნდა გამოვყო შარშანდელი წლის შედეგების შეჯამებისა და უახლოესი პერიოდის ამოცანებისადმი მიძღვნილი მინისტრთა კაბინეტის საგანგებო სხდომა. აქ განისაზღვრა რესპუბლიკური და ადგილობრივი მმართველობის საქმიანობის პრიორიტეტები სამეურნეო და სოციალურ სფეროში. წინა პლანზე იწევს მოსახლეობის სოციალური დაცვის გაძლიერება. ამ მომენტს შემთხვევით არ ვუსვამ ხაზს, რადგან ახლა უკვე გამოჩნდა უმნიშვნელო, მაგრამ მაინც გარკვეული რეზერვები იმისათვის, რომ დღის წესრიგში დავაყენოთ დაუცველი ფენებისათვის დახმარების გაძლიერების საკითხი. ასევე განისაზღვრა წლის პირველი ნახევრისათვის ხელფასის ერთნახევარჯერ მაინც გადიდება, მასობრივი პრივატიზაციისა და აქციონირების დაჩქარება, ვაუჩერიზაციის განხორციელება, რის თაობაზეც გამოქვეყნდება ჩემი სპეციალური ბრძანებულება. ამ სხდომაზე დაისახა ადგილობრივი რესურსებისა და თანამეგობრობის ქვეყნებთან, სხვა სახელმწიფოებთან ხელსაყრელი ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძველზე წარმოების სულ ცოტა 10-15 პროცენტით გადიდების ამოცანა. თითქოს მთლად ბუნებრივად არ ჟღერს, რომ ეკონომიკური კრიზისით მოცულმა ქვეყანამ ერთბაშად, ერთი წლის განმავლობაში შეიძლება გააკეთოს ასეთი ნახტომი. მაგრამ, ჩემი ვარაუდით, იმ პოტენციალის გათვალისწინებით, რომელიც გვაქვს, ენერგეტიკული კრიზისის გაგრძელების პირობებშიც კი სავსებით შესაძლებელია წარმოების მოცულობისა და ეროვნული პროდუქციის წარმოების 10-15 პროცენტით გადიდება. ამავე დროს ხაზგასმით აღინიშნა, რომ ქვეყნის ნორმალური ფუნქციონირებისათვის უპირველეს ამოცანად რჩება ენერგეტიკული კრიზისის შერბილება და შემდგომში ამ პრობლემის დაძლევა. მინდა დავადასტურო ისიც, რომ ერთგვარი ჯანსაღი ტენდენციები, რომლებიც გასული წლის სექტემბრიდან დაისახა ფინანსების სფეროში ჩვენი გარდამავალი ვალუტის განმტკიცების თვალსაზრისით გრძელდება და ამას თავისი დადებითი შედეგებიც მოჰყვება. ახლა ჩვენს პარტნიორებთან ერთად (მხედველობაში მყავს მსოფლიო ბანკისა და სავალუტო ფონდის, აგრეთვე ევროკავშირისა და სხვა საერთაშორისო და რეგიონული ფინანსური ორგანიზაციების წარმომადგენლები) ვმუშაობთ, რათა რაციონალურად, გეგმაზომიერად და ეფექტიანად გამოვიყენოთ მსოფლიოს ფინანსური ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი კრედიტები. როცა ამ სახსრების რეალიზაცია დაიწყება, ვფიქრობ, მოსახლეობა იგრძნობს, რომ შევდივართ ეკონომიკური სტაბილურობის ახალ ფაზაში.

რაც შეეხება რუსთავის ინციდენტს, იგი ერთი წლის წინათ რომ მომხდარიყო, შესაძლოა, არავის არ გაჰკვირვებოდა და ძალიან იოლადაც მოხერხებულიყო შერიგების პროცესის წარმართვა, შედარებით უმტკივნეულოდ და განსაკუთრებით მწვავე რეაგირების გარეშე გაგვეტარებინა იგი, როგორც ვამბობთ, თვალსა და ხელს შუა. მაგრამ დღეს ეს უკვე შეუძლებელია, რადგან საქართველო სხვა გზას დაადგა. მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ და მრავალმა ორგანიზაციამ აღიარა, რომ ჩვენში დაიწყო სტაბილიზაციის პროცესი, რომ ქვეყანა სტაბილური ხდება, ვფიქრობ, ვინც უნდა იდგეს დესტრუქციული მოვლენის უკან, ჩემი საკუთარი შვილიც რომ იყოს, მაინც ჩემი საკუთარი აზრი უნდა გამოვთქვა. რუსთავის ინციდენტის შესახებ უკვე მქონდა ლაპარაკი თვით რუსთავში და აქაც, მაგრამ ზოგიერთი რამ კიდევ უნდა გამოიკვეთოს. იმის გამართლება, რაც მოხდა, შეუძლებელია და ამას ვერც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი ვერ შეძლებს. ასეთი მოვლენების შეფასებისას, არც პირადი სიმპათიებით შეიძლება ვიხელმძღვანელოთ და არც პირადი ანტიპათიებით. ეს იყო იარაღის გამოყენებით ძალადობა ხელისუფლების წინააღმდეგ. ლონდონში გამოსვლისას მე ვიხმარე გამოთქმა — კრიმინალთა პოლიტიზირება და პოლიტიკის კრიმინალიზაცია. ეს მხოლოდ სხვა ქვეყნების მისამართით არ ყოფილა ნათქვამი. ჩემი აზრით, საქართველოშიც (შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ამის კლასიკური მაგალითია) საბჭოთა კავშირის დაშლის საწყისი ეტაპიდანვე, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს სწორედ ასეთ მოვლენასთან გვქონდა საქმე. მიღებული ზომების შედეგად იარაღიანთა თარეში თანდათანობით აღიკვეთა (მხედველობაში მაქვს ის, რაც ომის დამთავრების შემდეგ მოკლე დროში გაკეთდა საქართველოში). მრავალი ფორმირება დაიშალა (მე მათ აღარ დავასახელებ), მრავალიც იზოლირებულია. ბოლო ერთი წლის განმავლობაში პოლიციისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების მიერ იზოლირებულია 2.800-მდე ჯგუფი. ქვეყანა დაადგა სტაბილურობის გზას. ეს, როგორც გითხარით, უკვე აღიარებულია და არა მარტო ჩვენ მიერ. წესრიგის განმტკიცების კურსს პირველი შედეგები უკვე მოჰყვა. დაიწყო ეკონომიკის გამოცოცხლება, ფინანსების გაჯანსაღება, კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ შეტევა გრძელდება და კვლავაც გაგრძელდება. ასეთი ღონისძიება განხორციელდა ამ რამდენიმე დღის წინათ წითელი ხიდის რაიონში, რომელიც აზერბაიჯანიდან, ცენტრალური აზიიდან, ირანიდან თურქეთისა და დასავლეთის ქვეყნებისაკენ მომავალი ცენტრალური მაგისტრალია. ასეთი ღონისძიება განხორციელდა აგრეთვე, მარნეულში, ტრასებზე. ეს ღონისძიებები ჩემი დავალების შესასრულებლად ლევან მამალაძის უშუალო ხელმძღვანელობითა და მონაწილეობით ბრწყინვალედ განახორციელეს შინაგან საქმეთა და უშიშროების ორგანოებმა. გამოყენებული იყო სპეციალური განაყოფი, რომლის დათვალიერება თავის დროზე მოხდა, მაშინ ბევრი კითხულობდა, ასეთი რაზმი რა საჭიროაო. საჭიროა! მინდა ვისარგებლო ამ შემთხვევით და მადლობა გამოვუცხადო ამ ოპერაციის მონაწილეებს. ოპერაცია ტრასებზე წესრიგის დასამყარებლად გრძელდება. გუშინ ტელევიზიით ითქვა, რომ ბატონ ჯემალ მიქელაძის მეთაურობით ახლა ორი ათასზე მეტი პოლიციელი მუშაობს, რათა განამტკიცონ ეს პირველი ღონისძიებები. რეგიონის მთელი მოსახლეობა მიესალმება ამ აქციებს. მინდა გამოვყო მარნეულის რაიონის ახალი ხელმძღვანელობის მუშაობა, რის შედეგადაც სახელმწიფო სალაროში მილიონობით რუსული რუბლი, დიდი რაოდენობით დოლარი და მილიარდობით კუპონი შემოვიდა, მაშინ როცა თვეებისა და წლების მანძილზე, პრაქტიკულად არაფერი შემოდიოდა.

(აი, ერთ-ერთი მაგალითი: მარტო ერთი დღის განმავლობაში ბაზრიდან 16 მილიონი რუსული რუბლი შემოვიდა). დარწმუნებული ვარ, ეს თანხები (მხედველობაში მაქვს შემოსავლები არა მარტო ბაზრიდან, არამედ მთლიანად ტრასიდან) კიდევ უფრო გაიზრდება და საკმაოდ დიდი რაოდენობის დოლარებში იქნება გამოხატული. ეს ყველაფერი შეიარაღებული ბანდიტების ჯიბეში მიდიოდა. უხეში გაანგარიშებით, მარტო წითელ ხიდთან ყოველდღიურად ისინი ითვისებდნენ (უფრო სწორად ძარცვავდნენ) 5 მილიონ რუსულ რუბლს. გუშინდელი და დღევანდელი ღონისძიებანი ადასტურებენ, თუ რა თანხა შეიძლება შემოვიდეს ამ ტრასიდან.

მარნეულში აღმოაჩინეს და ჩამორთმეულია (ამაზე ილაპარაკა რუსთავში მარნეულის გამგებელმა ბატონმა ობოლაძემ, მისი გამოსვლა განსაკუთრებული სიმწვავითა და საქმიანი ხასიათით გამოირჩეოდა) უკანონოდ გადამალული იარაღი. რა უნდა საფოსტო განყოფილებაში (ვითომ ვიღაცის შტაბ-ბინაში) იარაღს, ასაფეთქებელ მასალებს, ტყვიამფრქვევებს და ასე შემდეგ.

გამოხდომა რუსთავში მწვავე რეაქცია გახლდათ. ლაპარაკია იმაზე, რომ შესაბამის ორგანოებს უნდა ჩამოერთმევათ უკანონოდ შენახული იარაღი და ეს კიდევაც გააკეთეს (არავითარი შტაბ-ბინა იქ არ ყოფილა).

მინდა უცხოელ ბიზნესმენთა და ბანკირთა გასაგონად ვთქვა: ეს დესტრუქციული ძალების ბოლო გაბრძოლებაა. სახელმწიფო წესრიგი მყარდება, ეს პროცესები შეუქცევადია და საქართველო თქვენი ღირსეული პარტნიორი იქნება.

ვინც ეს გამოხდომა მოაწყო, მას არ უნდა, რომ საქართველოში ნავთობსადენი და გაზსადენი გავიდეს, მას არ უნდა, რომ საქართველო სატრანზიტო ქვეყნად გადაიქცეს. ეს ხომ ბოლოს და ბოლოს, გარკვეული დროის შემდეგ, მილიონობით დოლარს შემოიტანს ჩვენი სახელმწიფოს სალაროში და ხალხის, ქვეყნის კეთილდღეობას მოხმარდება. სწორედ ამის წინააღმდეგ ილაშქრებენ, უნდათ თუ არ უნდათ ეს, ესმით თუ არ ესმით. ფაქტობრივად, ეს ასეა.

ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუსთაველთა, მთელი რეგიონის წარმომადგენელთა — ქართველების, რუსების, აზერბაიჯანელების, სომხების ერთსულოვნებამ. ყველა ერთხმად უჭერს მხარს ხელისუფლების ღონისძიებებს წესრიგის განსამტკიცებლად. ნურავის ნუ ჰგონია, რომ დესტრუქციულ ძალებს მხარს დაუჭერენ — ეს გამორიცხულია.

(დასასრული მე-2 გვ.).

როდემდე ვილაპარაკოთ იარაღის ენაზე?!

რუსთავი, 3 მარტი

ოფიციალური ინფორმაცია: დაახლოებით 16 საათზე ქალაქში შემოიჭრა და მერიის შენობის ბლოკირება მოახდინა 150-200-კაციანმა შეიარაღებულმა ჯგუფმა. დაახლოებით 50-70 კაცი შეიჭრა შენობის იმ ნაწილში, სადაც განლაგებულია ქვემო ქართლის რეგიონში სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის აპარატი. დანარჩენებმა დაიკავეს სხვადასხვა პოზიციები შენობაში და მის გარეთ. თავდამსხმელებმა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულს ლევან მამალაძეს, დაიჭრა პოლიციის ოფიცერი ქართლოს მძლეური.

მოწმეთა ჩვენებით, თავდამსხმელები პრეტენზიას აცხადებდნენ წინა დღეს მარნეულში სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული ოპერაციისა და მარნეულის პოლიციის უფროსად ფრიდონ კენკებაშვილის დანიშვნის გამო. მოწმეები შეიარაღებული ჯგუფიდან ასახელებენ კონკრეტულ პიროვნებებს: გიგა გელაშვილს, თემურ ხაჩიშვილს, ბესო ჩხეიძეს, თემურ ჯიშკარიანს.

ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს არავითარი წინასწარი ინფორმაცია მოსალოდნელი ინციდენტის შესახებ არ ჰქონიათ. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. შექმნილია საგამოძიებო ჯგუფი ქვემო ქართლის მხარის პროკურორის სიმონ მაჭავარიანის ხელმძღვანელობით.

• • •

ეს ყველაფერი მხოლოდ 4 მარტს რუსთავში გამართულ საგანგებო თათბირზე ითქვა. მანამდე კი, 3 მარტს, გვიან საღამოს რუსთავში ჩასულები გაჭირვებით ვახერხებთ მწირი ინფორმაციის მოპოვებას. დუმილის მიზეზი სხვადასხვაა, **ოთარ მაზმიშვილი, რწმუნებულის პირველი მოადგილე,** კვლავაც უმძიმესი ემოციური სტრესის ქვეშ არის.— მოვიდნენ, დაგვიპყრეს, წავიდნენ, მე ახლა მხოლოდ ამის თქმა შემიძლია, — ასეთია მისი პასუხი.

მომხდარის უფრო ნათლად წარმოდგენაში ზოგიერთი თვითმხილველი გვეხმარება. თუმცა — არცთუ დიდი ენთუზიაზმით. — რა მნიშვნელობა აქვს თქმას, მაგათ პასუხს მაინც ვერავინ მოსთხოვს, — ასე ხსნიან თავიანთ სიტყვაძუნწობას. გასაგები მიზეზების გამო, არც ვინაობის გამხელა სურთ. მათი მონათხრობის მიხედვით, ქალაქში მოულოდნელად შემოვიდა მანქანების საკმაოდ დიდი კოლონა, რომელიც მერიის შენობასთან გაჩერდა. რამდენიმე წუთში მანქანებიდან გადმოსული ავტომატებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული ხალხი განლაგდა შენობის გარშემო, ავტობუსებითა და მანქანებით გადახერგეს ყველა მისასვლელი მერიასთან, ნაწილმა დაიკავა ახლომახლო შენობების სახურავები.

ალექსანდრე ნაცვლიშვილი, რუსთავის საავადმყოფოს ტრავმატოლოგი: დაჭრილი შემოიყვანეს ანემიური შოკის მდგომარეობაში. ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ორი შემავალი ჭრილობა მარჯვენა წვივის არეში, კუნთებისა და ვენოზური სისხლძარღვების დაზიანებით, აგრეთვე, ორი დაჟეჟილი ჭრილობა სახის არეში და ერთი — თხემის არეში. შოკური მდგომარეობიდან გამოყვანის შემდეგ, როცა წნევა სტაბილური გახდა, დავუმუშავეთ ჭრილობები.

28 წლის ქართლოს მძლეურის მდგომარეობა ჩვენი იქ ყოფნის დროს, ექიმის თქმით, დამაკმაყოფილებელი იყო. რაც შეეხება ლევან მამალაძეს, მას თავის არეში ჰქონდა დაჟეჟილი ჭრილობები, რომლებსაც, ასევე, ქირურგიული დამუშავება დასჭირდა.

• • •

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, 4 მარტს რუსთავში გამართულ საგანგებო თათბირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფოს მეთაური, სამართალდამცავი ორგანოების, ქალაქ რუსთავის, ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელები, საზოგადოების წარმომადგენლები, ყველაფერი ნათლად შეულამაზებლად ითქვა. უკანასკნელ ხანს რეგიონის სასიცოცხლო მნიშვნელობის ტრასებზე, სასაზღვრო ზოლსა და გასამშვებ პუნქტებზე გამეფებულმა სრულმა განუკითხაობამ, უკანონობამ და დაუფარავმა ძარცვა-ყაჩაღობამ მთელი სიმწვავით დააყენა უმკაცრესი წესრიგის დამყარების აუცილებლობის საკითხი. მით უმეტეს, რომ ამ პრობლემის მოგვარებაზე პირდაპირ არის დამოკიდებული ქვეყნის როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური სტაბილიზაციის პერსპექტივა. ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის გადასაწყვეტ ღონისძიებათა ორგანიზება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებით დაევალა ქვემო ქართლის რეგიონში, მისი რწმუნებულის ადმინისტრაციას. პირველი რეალური ნაბიჯებიც გადაიდგა. უშიშროების სამსახურისა და პოლიციის ძალებით განხორციელდა ოპერაცია, რომელმაც უამრავი სერიოზული დარღვევა გამოავლინა. წითელ ხიდზე დაფიქსირდა სხვადასხვა უწყება და ჯგუფი, რომლებიც თვითნებურად აკონტროლებენ სასაზღვრო ზოლს. გამოირკვა, რომ ისინი სხვადასხვა მიზნით აჩერებდნენ ავტოტრანსპორტს, რომლის გაჩერების უფლებაც არც აქვთ, და მხოლოდ გარკვეული „მოლაპარაკების" შემდეგ უშვებდნენ. ამგვარივე განუკითხაობის ფაქტები დადასტურდა სადახლოს ბაზარში, რომელსაც ასევე 3-4 უწყება „განაგებს". ოპერაციის შედეგი კომენტარს აღარ საჭიროებს: მხოლოდ ამ ერთი დღის შემოსავალმა 16 მილიონი რუბლი შეადგინა. მაშინ, როცა ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფო ხაზინაში ბაზრიდან 100 მილიონი კუპონი ჩაირიცხა.

არის კიდევ მეორე მნიშვნელოვანი მომენტი. იარაღის შესახებ კანონის თანახმად, იარაღის ტარების უფლება მხოლოდ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების და უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს აქვთ. ამ კანონის მიხედვით, რეგიონში დღეისათვის უკანონო იარაღის მქონე ორი ორგანიზაცია მოქმედებს — მეტალურგიის კომბინატის, ქიმბოჭკოსა და „აზოტის" გასამხედროებული დაცვა და მაშველთა კორპუსი. მაშველთა კორპუსს მიეცა წინადადება, ან დაეკანონებინა თავისი იარაღი, ან ჩაებარებინა ცენტრალურ შტაბში, რაც შეეხება გასამხედროებულ დაცვას, იგი მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით საკუთრების დაცვის პოლიციის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს. წინადადებას არანაირი გართულება არ მოჰყოლია, თუმცა, არც მისი შესრულება უჩქარიათ ვიმეს...

ამგვარი მოვლენები უძღოდა წინ 3 მარტის ოპერაციას. იგი არ იყო რომელიმე კონკრეტული პიროვნების წინააღმდეგ მიმართული, — იტყვის თათბირზე ლევან მამალაძე, — ეს იყო ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული აქცია, რომლითაც გაგვაფრთხილეს, რომ არ უნდა შევეხოთ ზოგიერთებს. ან სახელმწიფომ უნდა თქვას გადამწყვეტი სიტყვა, ან ნაადრევი ყოფილა ჩვენი გამოგზავნა ამგვარ პრობლემათა გადასაწყვეტად, ჩვენი დრო არ მოსულა!...

თუ არ ვიტყვით სიმართლეს და ყველაფერს თავის სახელს არ დავარქმევთ, ხელისუფლებას არანაირი უფლება არ ექნება წესრიგის დამყარებასა და კანონის დაცვაზე ილაპარაკოს — ამ პრინციპის დაცვის აუცილებლობა გამოიკვეთა თათბირის მონაწილეთა გამოსვლებში. 3 მარტის კონკრეტულმა ფაქტმა, რომელიც შეფასდა, როგორც ხელისუფლების ფიზიკური ხელყოფის დანაშაულებრივი მცდელობა, სტიმული მისცა მართვის სისტემაში არსებული ნაკლოვანებებისა და დარღვევების შესახებ შეურიგებელ, უკომპრომისო მსჯელობას. მარნეულის პოლიციის უფროსმა ფრიდონ კენკებაშვილმა, მარნეულის გამგებელმა ბესიკ ობოლაძემ, სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულის მოადგილემ მერაბ ტყეშელაშვილმა, ქალაქ რუსთავის მერმა სოსო არშიძემ, მეტალურგიული კომბინატის მთავარმა ინჟინერმა რევაზ თხელიძემ, რუსთავის პროკურორმა ვენედი ბენიძემ და რუსთავის პოლიციის უფროსმა რევაზ ბელქანიამ ილაპარაკეს რეგიონში არსებულ პრობლემებზე, რომელთა გადაუჭრელობამ რესპუბლიკა შეიძლება უახლოეს ხანში მართლაც გლობალური საშიშროების წინაშე დააყენოს.

შინაგან საქმეთა მინისტრის შოთა კვირაიას ინფორმაციით, მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის გააქტიურების მიზნით უახლოეს ხანში რუსთავში შეიქმნება პოლიციის მობილური რეგიონული მთავარი სამმართველო. ბატონმა იგორ გიორგაძემ გამორიცხა ინციდენტში თემურ ხაჩიშვილის მონაწილეობა, როგორც უშიშროების სამსახურის უფროსის მოადგილისა (თემურ ხაჩიშვილი თავის გამოსვლაში შეეცადა ახსნა და ერთგვარად გამართლებინა წინა დღეს მომხდარი ფაქტი). კატეგორიული იყო რესპუბლიკის გენერალური პროკურორის ჯამლეთ ბაბილაშვილის პოზიცია: მოსახლეობას უკვე აღიზიანებს ერთი და იმავეს მოსმენა — აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, მიმდინარეობს გამოძიება. თუ შეგვიძლია გადაწყვეტილების მიღება, მივიღოთ, თუ არა და, ასეთი უნიათობის გაგრძელება აღარ შეიძლება.

თუმცა, იმ მკაცრი კატეგორიულობის მიუხედავად, რომელიც ახასიათებდა თათბირს, ნათლად გამოიკვეთა გულწრფელი სურვილიც — მაშველთა კორპუსი, რომლის რიგებში ჩვენი საზოგადოების ერთ-ერთი ღირსეული წევრი მოღვაწეობს, ნორმალურ, ჯანსაღ სახელმწიფო სტრუქტურად ჩამოყალიბდეს და შეასრულოს თავისი პატრიოტული ვალი: მით უმეტეს, რომ მის ბიოგრაფიაში ბევრი საქებარი ფურცელია ჩაწერილი, რის უარყოფაც არც ხალხს შეუძლია და არც ისტორიას. ეს განსაკუთრებული დამოკიდებულება გამოიკვეთა სახელმწიფოს მეთაურის გამოსვლაშიც. [illegible]მაც, უწინარეს ყოვლისა, აფხაზეთის ომსა და დასავლეთ საქართველოში მიმდინარე სამოქალაქო ომში მხედრიონელთა მიერ გამოჩენილი უმაგალითო თავგანწირვა გაახსენა, — მებრძოლი ბიჭების დამსახურების ჯეროვნად დაფასებისა და მათთვის საზოგადოებაში ღირსეული ადგილისა და ფუნქციის განსაზღვრის მიზნით შეიქმნა ახალი სახელმწიფო სტრუქტურა — მაშველთა კორპუსი, — თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ, — მე მინდა, რომ მაშველთა კორპუსი მართლაც მაშველი იყოს გაჭირვებაში ჩავარდნილთათვის და ამართლებდეს თავის სახელწოდებას.

3 მარტის ინციდენტის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად სახელმწიფოს მეთაურმა დაასახელა ყვარელში ანალოგიურ გამოხდომაზე სათანადო ორგანოების არასაკმარისი რეაგირება, აგრეთვე, საგარეჯოში მომხდარი მკვლელობის „ავტორის" დაუსჯელობა: ვიდრე შემგუებლები ვიქნებით,— თქვა მან, — და ვიდრე შეგვეძლება გულგრილად ვუცქიროთ ჩვენს ირგვლივ მკვლელობას, ძარცვას, ასეთ თავდასხმებს, ქვეყანაში წესრიგი არ იქნება... ან დავამყარებთ წესრიგს, ან ყველამ დავიხუროთ ქუდი და წავიდეთ თანამდებობიდან. ნუ აგიკანკალდებათ მუხლები! დღეს ქვეყანა ისეთ მდგომარეობაშია, როცა გაბედული, მამაცი ხალხია საჭირო. არ უნდა შევჩერდეთ, უნდა ვიბრძოლოთ ბოლომდე ქვეყნის ასაშენებლად. ჩვენ ეს შეგვიძლია და ამისათვის უკვე ყველა წინაპირობაა შექმნილი.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მხარი დაუჭირა შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადებას რეგიონული სამმართველოს შექმნის შესახებ და მოუწოდა ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელებს განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ ამ უმნიშვნელოვანესი მრავალეროვანი რეგიონის მიმართ, თავიანთი საქმიანობით დაარწმუნონ ქვემო ქართლის მოსახლეობა, რომ საქართველოს ხელისუფლება მისი ყველა მოქალაქის ინტერესების დამცველია.

დასასრულ, სახელმწიფოს მეთაურმა პირადად დაავალა პროკურატურას, პოლიციასა და უშიშროების სამსახურს მომხდარის გამოძიება.

მინაწერი: 3 მარტს რუსთავში მომხდარი ფაქტი კიდევ დიდხანს იქნება მსჯელობისა და მითქმა-მოთქმის საგანი. გამოითქმება ათასგვარი ვერსია, აგორდება მრავალი ჭორი, იქნება მტყუან-მართლის გარჩევა... მაგრამ [illegible] გამაფრთხილებელი ამ [illegible] ტენდენცია [illegible] ქვეყანაში სტაბილიზაციის რეალური საფუძვლის შექმნას დაუყოვნებლივ მოჰყვება ზოგ შემთხვევაში გააზრებული, ზოგჯერ გაუაზრებელი, მაგრამ თავისი შედეგებით ერთმნიშვნელოვნად სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული ეს თუ ის მოქმედება.

მზია ალუდაური,
საქინფორმის კორ.

მერვე სვეტი

ამ კვირის ბოლოდან დაიწყება

წლეულს საქართველო ევროკავშირიდან მიიღებს ხორბალს და პურის ფქვილს, ზეითუნის ზეთს და კარაქს. საერთო ანგარიშით, 250000 ტონა ტვირთს გამოგვიგზავნიან, მალე, ეს პროდუქტები ხელმისაწვდომ ფასებში გაიყიდება მაღაზიებში. რეალიზაციით მიღებული თანხა საქართველოს ბიუჯეტში ჩაირიცხება და მოსახლეობის სოციალურ განვითარებას მოხმარდება.

მინისტრთა კაბინეტში გაიმართა პრესკონფერენცია, სადაც ისაუბრეს ჰუმანიტარული დახმარების სწორ და დროულ განაწილებაზე. ითქვა, რომ თბილისის მოსახლეობა ამ კვირის ბოლოდან მიიღებს ნორმირებულ პროდუქტებს.

ლალი ქინქლაძე.

ექიმები აფხაზეთიდან წავიდნენ

აფხაზ და რუს ექიმთა გარკვეულმა ნაწილმა ბოლო ერთი წლის განმავლობაში დატოვა აფხაზეთი და დროებითი თავშესაფარი რუსეთსა და თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში პოვა, ამას აღიარებენ სეპარატისტთა საინფორმაციო სამსახურები.

სოხუმის რადიოს ცნობით, დღევანდელ აფხაზეთში დარჩენილ ექიმებს დახმარებას უწევენ თანამეგობრობის ქვეყნებისა და თურქეთში არსებული აფხაზური დიასპორის წარმომადგენლები.

სისასტიკით გამორჩეული მკვლელობა

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანმა სამძიმრის დეპეშა გაუგზავნა რუსეთის საზოგადოებრივ ტელევიზიას, ვლადისლავ ლისტიევის ტრაგიკულად დაღუპვის გამო.

სისასტიკითა და უაზრობით გამორჩეული ეს მკვლელობა სამუდამო სამარცხვინო ლაქად დააჩნდება იმათ სინდისს, ვინც სიცოცხლე მოუსწრაფა დიდ პროფესიონალ ჟურნალისტს, მთელი რიგი უაღრესად პოპულარული პროგრამების ავტორს, ნიჭიერ ორგანიზატორს, იგი უყვარდა ყველას, საქართველო გამონაკლისი არ ყოფილა.

ჩვენ მუდამ მადლიერი ვართ ვლად ლისტიევის, იმის გამო, თუ როგორ აშუქებდა მსოფლიოს ამბებს, როგორ ეკიდებოდა ადამიანებს, მათ პრობლემებს. იგი მუდამ იყო გულწრფელი, გულისხმიერი და აქტიური. მთელი თავისი შემოქმედებით, მილიონებისათვის გასაგები თვალსაწიერით იგი კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენდა დემოკრატიულ პროცესებზე არა მარტო რუსეთში. — ნათქვამია დეპეშაში.

კანონი მოქმედებს

დანაშაული და სასჯელი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ დაასრულა 1993 წლის 5 ოქტომბერს დაწყებული დომუხოვსკის, გელბახიანის, დოკვაძის, და სხვათა ბრალდებით გახმაურებული სისხლის სამართლის საქმის განხილვა. საზოგადოება ინფორმირებულია იმის შესახებ, რომ მართლმსაჯულების წინაშე წარსდგა 19 განსასჯელი, რომელთაგან თითოეულს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის ბრალად ედებათ თბილისში, ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი აფეთქება, რამაც 5 ადამიანის, მათ შორის, ერთი მცირეწლოვანის სიცოცხლე შეიწირა, ტერორისტული აქტების ორგანიზება-მომზადება, ორი ან მეტი სიცოცხლის ხელყოფა, ბანდიტიზმი და სხვა.

[illegible] კამათის, საქმეში არსებული ყველა დოკუმენტური მასალის მტკიცებითი შეჯერების საფუძველზე, სასამართლომ მიუსაჯა ირაკლი დოკვაძეს და პეტრე გელბახიანს სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — დახვრეტა, გედეონ [illegible]ბაიანს 18 წელი, ვიქტორ დომუხოვსკის 14 წელი, დანარჩენებს სასჯელი სხვადასხვა ვადით.

მეოცე საუკუნის დასასრულამდე გადასაწყვეტი პრობლემა

25 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ძალაში შევიდა ხელშეკრულება ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ.

ამ უნიკალური მნიშვნელობის დოკუმენტმა, რომელიც ბირთვული და არაბირთვული სახელმწიფოების ურთიერთვალდებულებებს განსაზღვრავს, ჭეშმარიტად ისტორიული როლი შეასრულა ცივი ომის პერიოდში კაცობრიობის ბირთვული კატასტროფისაგან გადარჩენაში. დღეს, როდესაც მსოფლიო თავისუფლდება ბირთვული დაპირისპირების კოშმარისაგან და კაცობრიობა საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული იდეალების დამკვიდრების მიზნით ახალი გზით განვითარებას იწყებს, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის მოხსნილი დღის წესრიგიდან მშვიდობისა და სტაბილურობის მყარი გარანტიების შექმნის საკითხი. ფსევდონაციონალისტური განწყობილებებით ნასაზრდოები აგრესიულ-სეპარატისტული ძალები იარაღით ცდილობენ საკუთარი დესტრუქციული მიზნების მიღწევას და ეთნო-პოლიტიკური სისხლიანი კონფლიქტების პროვოცირებით სერიოზულ საფრთხეს უქმნიან მშვიდობას ცალკეულ სახელმწიფოებში და, საერთოდ, ჩვენს პლანეტაზე. ასეთ ვითარებაში ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის რეჟიმის მთელი სიმკაცრით დაცვა უველაზე პრიორიტეტულ ამოცანათა რიგში დგება.

საქართველო მტკიცედ უჭერს მხარს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულების უცვლელად და უვადოდ გაგრძელებას, რაც უმნიშვნელოვანესი პირობაა მისი საბოლოოდ აკრძალვის გზაზე.

მე ამ პოზიციას ვიცავდი ყოველთვის და დღესაც მიმაჩნია, რომ ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობა, გამოცდის შეწყვეტა და მისი საბოლოოდ აკრძალვის პრობლემა მეოცე საუკუნის დასასრულამდე უნდა გადაწყდეს.

ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მცხოვრებთათვის მიწის გამოყოფისა და მისი ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მცხოვრებთათვის მიწის ფართობების გამოყოფის მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ქალაქების მოსახლეობისაგან განტვირთვას, სოფლად მათ დამაგრებასა და სურსათით დაკმაყოფილების გაუმჯობესებას.

1993-1994 წლებში რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მცხოვრებ 290 ათას ოჯახს გამოეყო 58 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი, მათ შორის მამაპაპისეულ სოფლებში — 159 ათას ოჯახს 32 ათასი ჰექტარი.

მიუხედავად ამისა, მიწის ნაკვეთებით ჯერ კიდევ არ არის დაკმაყოფილებული ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მცხოვრებთა მნიშვნელოვანი ნაწილი. ამასთან, ჭიანურდება გამოყოფილი მიწების ათვისება და რაციონალურად გამოყენება.

მიწის ნაკვეთების მფლობელთა მომსახურებისათვის შექმნილი ორგანიზაცია „საქქალაქაგროსერვისი" საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უქონლობისა და სათანადო მატერიალური საშუალებების დეფიციტის გამო ვერ უზრუნველყოფს მათ სრულყოფილ მომსახურებას.

რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მცხოვრებთა საკარმიდამო მიწის ნაკვეთებით მაქსიმალურად დაკმაყოფილებისა და მათი მომსახურების გაუმჯობესების მიზნით:

1. რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მცხოვრებთათვის დამატებით გამოიყოს მიწის ფართობები დანართის თანახმად.

2. დანართში ჩამოთვლილმა რაიონებმა ერთი თვის ვადაში დადგენილი წესით შეარჩიონ ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მცხოვრებთათვის გადასაცემი მიწის ფართობები საავტომობილო და სარკინიგზო გზებთან ახლოს და წარუდგინონ სათანადო მასალები საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს, მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის დეპარტამენტს, რომლებმაც სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმების შემდეგ ერთი კვირის ვადაში განიხილონ სარეფორმო ფონდში გამოსაყოფი მიწის შერჩევის საკითხი და შესაბამისი დასკვნა წარუდგინონ მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს.

3. მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა და მიწის რეფორმის კომისიებმა მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მცხოვრებთა უპირატესად მამაპაპისეულ სოფლებში მიწის ნაკვეთებით დაკმაყოფილებას და ქალაქელთათვის კომპაქტურად გამოყოფილ მიწის ფართობებზე მათ დამაგრებას.

4. „საქქალაქაგროსერვისმა" უზრუნველყოს:

— თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის მერიებთან ერთად ქალაქების მცხოვრებთათვის გამოყოფილი მიწის ფართობების განაწილება, დაპროექტება და მიწის მიღება-ჩაბარების აქტების გაცემა სათანადო ანაზღაურებით;

— მებაღეობის ამხანაგობებში მიწის რეფორმის სამუშაოების დამთავრება 1995-1996 წლებში, რაშიც მას ხელი შეუწყონ შესაბამისმა საწარმოებმა, დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად;

— თესლით, სარგავი მასალით, მოზარდეულით, მინერალური სასუქებით, შხამქიმიკატებით, ინვენტარითა და მეურნეობებისათვის საჭირო სხვა მატერიალური საშუალებებით მომარაგება, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკითა და აგროზოოვეტმომსახურება საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ სამსახურებთან, საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროსთან, სოფლის მეურნეობის საწარმო მომსახურებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სახელმწიფო კოორპორაცია „საქაგროტექსერვისთან" და „ცეკავშირთან" სათანადო ხელშეკრულებების საფუძველზე.

5. საქართველოს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტმა, თბილისის, ქუთაისისა და რუსთავის მერიებმა, აგრეთვე სხვა ქალაქების მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა „საქქალაქაგროსერვისის" შეკვეთით სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე დანიშნონ ავტობუსების მარშრუტები გამოყოფილ მიწის ნაკვეთებამდე ქალაქის მოსახლეობის გადასაყვანად, რისთვისაც ნავთობპროდუქტების კონცერნმა უზრუნველყოს მმართველობის ადგილობრივი ორგანოებისა და „საქქალაქაგროსერვისის" ენერგორესურსებით მომარაგება შესაბამისი ანგარიშსწორების საფუძველზე.

6. „საქქალაქაგროსერვისმა" შეიმუშაოს ქალაქებისა და რაიონული ცენტრების მცხოვრებთათვის სოფლად გამოყოფილი საბაღე და საკარმიდამო ნაკვეთების მომსახურების პროგრამა მომსახურების კოოპერაციული ფორმების დანერგვისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის უცხოური ინვესტიციებისა და კრედიტების მოზიდვის გათვალისწინებით.

7. თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, რესპუბლიკის სხვა ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა ხელი შეუწყონ „საქქალაქაგროსერვისს" თავიანთი ქალაქების ტერიტორიაზე საკარმიდამო, საბაღე და საგარაკო ნაკვეთების მფლობელთათვის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების მიყიდვისა და ჭარბი პროდუქციის სარეალიზაციოდ საჭირო სავაჭრო ფართის გამოყოფაში.

8. საქართველოს რესპუბლიკის სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტმა „საქქალაქაგროსერვისის" მოთხოვნის შესაბამისად შეძლებისდაგვარად დააწესოს საგარეუბნო მატარებლების დამატებითი გაჩერებები საკარმიდამო, საბაღე და საგარაკო ნაკვეთების დიდი მასივების მიმდებარე ტერიტორიებზე.

9. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ, კონტროლის პალატამ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან ერთად ერთი თვის ვადაში უზრუნველყონ „საქქალაქაგროსერვისსა" და ყოფილი „საქაგროკომპისადმი" დაქვემდებარებულ ორგანიზაციას „საქაგროკომპმრეწვს" შორის წარმოქმნილი ქონებრივი დავის გადაწყვეტა.

10. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ „საქქალაქაგროსერვისთან" ერთად დასახოს და განახორციელოს საბაღე და საკარმიდამო ნაკვეთების დაცვის ღონისძიებები.

11. აღნიშნული ბრძანებულება გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს ტელევიზიით.

ე. შევარდნაძე.

თბილისი, 1995 წლის 22 თებერვალი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბრძანებულება

გ. ჟანტურიასათვის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგის მინიჭების შესახებ

მიენიჭოს აზერბაიჯანის რესპუბლიკაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს გიორგი ჟანტურიას საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ე. შევარდნაძე.

„მზად ვარ ბოლომდე ვიბრძოლო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და სტაბილურობისათვის"

(დასასრული)

აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. გამოძიება დაიწყო. მიმდინარეობს მუშაობა შესაბამის დოკუმენტებზე, რომლებმაც გარკვეულწილად უნდა მოაწესრიგოს მაშველთა კორპუსის საქმიანობა.

ამ დღეებში ბევრი რამ ითქვა, ალბათ, ბევრიც დაიწერება. ველოდები, რომ თავიანთ სიტყვას იტყვიან ინტელიგენციის ის წარმომადგენლებიც, რომლებიც „მხედრიონის", მაშველთა კორპუსის მეგობრებად ითვლებოდნენ. მეც ასეთად ვთვლიდი ჩემს თავს და დღესაც მიმაჩნია, რომ გულგრილი ვერ ვიქნები ამ ბიჭების მიმართ. მაგრამ, ამავე დროს, სამართლიანიც უნდა ვიყო. ჩემი აზრით, ისეთი იმედისმომცემი ახალგაზრდა მოღვაწე, როგორიც დათო მაღრაძეა და რომელიც თავს მხედრიონელად თვლის, უნდა გამოვიდეს საჯაროდ და გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ამ ფაქტისადმი. ძნელია? რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ ასე უნდა მოიქცეს. ვფიქრობ, რომ ჩემი დიდი მეგობრების შვილი ლაშა თაბუკაშვილიც გამოვა და საჯაროდ გამოთქვამს თავის აზრს ამ გამოხდომის შესახებ, ასევე მოიქცევიან სხვებიც. თუ მათ ამ ბიჭებისათვის სიკეთე სურთ, საჯაროდ, სახალხოდ, ტელევიზიისა და გაზეთის მეშვეობით უნდა თქვან სიმართლე, რას იწონებენ და რას — არა. ეს ყოველ მიზეზგარეშე უნდა მოხდეს. ვფიქრობ, ასევე მთელი საზოგადოებაც იტყვის თავის სათქმელს. აქ სახელზე, ერთი ან ორი კაცის თუ ჯგუფის დაპატიმრებაზე არ არის საქმე. მთავარია ფაქტისადმი დამოკიდებულება. ადრე ხომ ასე არ ვაყენებდი საკითხს — უფრო რთული, ძნელი პრობლემები იყო გადასაწყვეტი, დასაშლელი იყო მტრულად განწყობილი ფორმირებები (ისინი იზოლაციაში მოვაყვნენ). მაგრამ ახლა, როცა ქვეყანაში მართლაც გაჯანსაღდა ვითარება, მთელი საზოგადოება უნდა დაირაზმოს იმისათვის, რომ ეს, როგორც იტყვიან, ბოლო გამოხდომა იყოს, ამის მსგავსი არაფერი აღარ განმეორდეს.

უშუალოდ დამნაშავეთა დასჯასთან ერთად ახლა მთავარია ჩამოყალიბდეს საზოგადოებრივი აზრი, თუ ეს ძალიან გაცვეთილი არ არის, საჭიროა ზარების შემოკვრა ყველას გასაგონად. საზოგადოება, ხალხი მსგავსს აღარავის აპატიებს.

რაც შეეხება ჩემს პოზიციას, მზად ვარ ბოლომდე ვიბრძოლო სახელმწიფოებრივი აღმშენებლობისა და სტაბილურობისათვის, ქვეყნის გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის. გაძლიერებაზე როცა ვლაპარაკობ, ვგულისხმობ რეგულარულ არმიას, მის ქვეგანაყოფებს, პოლიციას, უშიშროების სამსახურს, პროკურატურას, იმ სტრუქტურებს, რომლებმაც უნდა დაიცვან სახელმწიფო და ხალხი, ვგულისხმობ თუნდაც მაშველთა კორპუსს თავის ფორმებსა და ჩარჩოებში და არა შეიარაღებულ თარეშს.

რუსთავის გამოხდომის შესახებ, თუნდაც ეს ჩემს ერთგულ ხალხთან იყოს დაკავშირებული (და მე ვიცი, ჩემი ერთგულები არიან), უნდა ვთქვა, რომ იგი ანტისახელმწიფოებრივი, ავანტიურისტული მოქმედებაა. ვიცი, ეწყინებათ, ეტკინებათ, მაგრამ ახლა სხვა სიტყვებს ვერ ვპოულობ.

— გასულ კვირას კიდევ ერთი ძალიან ცუდი ფაქტი მოხდა თბილისში, საკუთარ კაბინეტში მოკლეს დედაქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე კორნელი ჩალაძე. როგორ გგონიათ, ხომ არ მოახდენს ეს გავლენას თვით პოლიციის ბრძოლისუნარიანობაზე, რადგან, ერთია, როცა პოლიციის უფროსის პირველ მოადგილეს კლავენ, მაგრამ განსაკუთრებით საშინელებაა, როცა ეს მის სამუშაო კაბინეტში ხდება. ამას რაღაც სხვა შეფერილობა აქვს...

— კორნელი ჩალაძეს მე ვიცნობ როგორც მებრძოლს, ქვეყნისათვის თავგანწირულ ჯარისკაცს. ასეთი მახსოვს იგი აფხაზეთიდან, დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომის დღეებიდან. მას სიცოცხლისათვის სარისკო არაერთი დავალება შეუსრულებია და ასევე გმირულად მუშაობდა დედაქალაქში. მკვლელობის მოტივი დადგინდება, ყველაფერი გაირკვევა, მკვლელი პოლიციის თანამშრომელია, ახალგაზრდა კაცი.

მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქალაქის პოლიციის გაბედულ შეტევას კრიმინალურ დაჯგუფებათა წინააღმდეგ. ბოლო ორი-სამი კვირის განმავლობაში ქალაქის პოლიციამ თითქმის შეუძლებელი შეძლო. მხარდასაჭერია შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის, ქალაქის მერიის, კერძოდ, ბატონ ნიკო ლეკიშვილის, ქალაქ თბილისის რაიონების გამგებლების ყოველმხრივი და ყოველდღიური დახმარება, რომელსაც ისინი დედაქალაქის პოლიციის გარნიზონს უწევენ. გამოვყოფდი ქალაქის პოლიციის ხელმძღვანელის ბატონ დემურ მიქაძის გაბედულ და მიზანმიმართულ მუშაობას. მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ დედაქალაქის პოლიციის მიერ პრინციპულად დაწყებული ბრძოლა კიდევ უფრო მიზანმიმართული და შეუპოვარი გახდება. დამნაშავენი, ვისი მფარველობითაც უნდა სარგებლობდნენ (ვიცი, რომ ზარები გაისმა — ეს ახალგაზრდა გაათავისუფლეთ, ეს კაცი გაუშვითო და ასე შემდეგ), წარდგებიან კანონისა და სამართლის წინაშე. თუ ამას არ გავაკეთებთ, მაშინ მთელი გაწეული მუშაობა წყალში ჩაიყრება. მჯერა, რომ ქალაქის პროკურორი, ასევე გაბედული და უაღრესად მაღალკვალიფიციური მოღვაწე, რესპუბლიკის პროკურატურა, გენერალური პროკურორი მხარს დაუჭერენ პოლიციას დედაქალაქში წესრიგის დამყარებისათვის ამ საშვილიშვილო ბრძოლაში და ეს იქნება უდიდესი პატივისცემა კორნელი ჩალაძის ხსოვნისადმი.

— თქვენ უკვე გამოხატეთ დამოკიდებულება ცნობილი რუსი ჟურნალისტის ვლადისლავ ლისტიევის მკვლელობისადმი. ერთი მომენტი იყო ამ პროცესში საყურადღებო: რამდენჯერმე ითქვა, რომ თუკი დემოკრატია ხალხის კვლისა და ქაოსს გულისხმობს, მაშინ ეს დემოკრატია არავის არ სჭირდება. თქვენი აზრით, რა არის, ეს ტენდენცია — ტოტალიტარიზმისადმი რაღაც ნოსტალგია, თუ რაღაც უფრო ცუდისათვის მზადება? რატომ გვაჩვევენ მეთოდურად იმ აზრს, რომ, თუკი პოსტსაბჭოთა ქვეყნებში რაიმე ცუდი მოხდება, ეს დემოკრატიის ბრალია, რომ თურმე დემოკრატია გულისხმობს ანარქიასა და ქაოსს...

— მინდა შევახსენო რადიომსმენელს, რომ არც ერთი დემოკრატიული სახელმწიფოს ფორმირება არ მომხდარა სერიოზული კატაკლიზმებისა და, მძიმე ექსცესების გარეშე. დემოკრატიის კლასიკურ ქვეყნებშიც კი, რომლებიც სამოქალაქო ომებისა და დიდი სოციალური ხანძრების შემდეგ ბოლოს და ბოლოს დაადგნენ ამ გზას, იგი ეკლიანი და მძიმე იყო. გამოსავალი დემოკრატიაზე უარის თქმა კი არ არის, არამედ დემოკრატიული ინსტიტუტების, დემოკრატიული ცხოვრების წესის ეფექტიანი და გარანტირებული დაცვაა. დემოკრატიული სახელმწიფო უნდა იყოს ძლიერი, უნდა შეეძლოს დემოკრატიის მონაპოვართა დაცვა. თუ ამას ვერ შეძლებს, მაშინ ჩნდება ნოსტალგიაც... საქართველოშიც, რუსეთშიც, სხვა ქვეყნებშიც, ყოფილ ტოტალიტარულ სივრცეში არიან ძალები, რომლებიც ცდილობენ იქითკენ წაიყვანონ ქვეყანა.

ახლა საქართველოში სწორედ დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის მშენებლობისა და განმტკიცების პროცესი მიმდინარეობს, მე შემთხვევით არ მითქვამს, რომ სახელმწიფოებმა, განსაკუთრებით თანამეგობრობის წევრებმა, უნდა გააერთიანონ თავიანთი შესაძლებლობები ტერორის, ტერორისტების, მაფიოზების (რომლებიც არ ცნობენ საზღვრებს და პრაქტიკულად ერთიანდებიან როგორც ტერორისტული ორგანიზაციები) წინააღმდეგ ბრძოლაში. თანამეგობრობის ქვეყნების ძალების გაერთიანება ტერორისტების, ტერორიზმისა და მაფიოზური კლანების წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი გარანტია იქნება დემოკრატიულ სახელმწიფოთა გადასარჩენად.

მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით

რესპუბლიკაში წარმოქმნილი ეკონომიკური და ფინანსური სიძნელეების გამო [illegible] გაიზარდა ურთიერთდავალიანებები საქართველოს რესპუბლიკის „საქგაზის", „საქენერგოს" დეპარტამენტებს, საწარმოო გაერთიანება „აზოტს", სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს, სახელმწიფო კონცერნ „საქსოფლმაყოფიერებას" შორის.

დებიტორულ დავალიანებათა შემცირებისა და საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის ნაწილობრივ გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიმდინარე წლის 20 თებერვლის დადგენილებით ზემოთაღნიშნულ ორგანიზაციებს ნება დაერთოთ 1995 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მოახდინონ ურთიერთდავალიანებათა ნაწილობრივი ჩათვლები ვალების ურთიერთგასტუმრების შესაძლებლობის ფარგლებში; დაევალათ სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებს სამთავრობათშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქციის გადატვირთვა განახორციელონ ურთიერთშეთანხმებული ფასებით, პროდუქციის ღირებულების წინასწარი გადახდის შემდეგ.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში

გაიმართა საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით 1995 წლის 21 მარტს აღინიშნება ქართული ჟურნალისტიკის დღე. ჟურნალისტთა დღის აღსანიშნავად თბილისის ოპერისა და ბალეტის ეროვნული თეატრის შენობაში გაიმართება საზეიმო სხდომა. სხდომაზე მოწვეული არიან სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტთა ორგანიზაციების წარმომადგენლები, ქართული კულტურის, მეცნიერებისა და განათლების მოღვაწეები, სახელმწიფო სტრუქტურებისა და პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლები. დაგეგმილია სხვადასხვა ფოტოჟურნალისტების ნამუშევართა გამოფენები, ყვავილებით შეამკობენ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწეთა საფლავებს და სხვ.

სხდომაზე განიხილეს „ტასისის" დემოკრატიულ პროგრამაში წარდგენილ ჟურნალისტთა ფედერაციისა და „ევრაზიის" ერთობლივი პროექტის განხილვის შედეგები. პროექტი, რომელიც მომზადდა საქართველოში, ითვალისწინებს „მეოთხე ხელისუფლების" პოზიციების განმტკიცებასა და მის სრულფასოვან ჩამოყალიბებას საქართველოში; კონტაქტების გაღრმავებას ჟურნალისტთა მსოფლიო ორგანიზაციებთან. პროექტის განხორციელების შემთხვევაში საერთაშორისო ფონდების მიერ გათვალისწინებულია გარკვეული სახსრების გამოყოფა. წარმოდგენილი პროექტის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია თბილისში ამიერკავკასიის საინფორმაციო ცენტრისა და ბაზრის ჩამოყალიბება.

პრეზიდიუმის სხდომამ დასახა ღონისძიებები ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავის აღსანიშნავად. 9 მაისს გაიმართება საზეიმო სხდომა, რომელზეც მოწვეულ იქნებიან ფრონტელი ჟურნალისტები და დაღუპულ ჟურნალისტთა ოჯახის წევრები.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ბატონ ედუარდ შევარდნაძეს

ისრაელის საზოგადოებრიობამ, პარლამენტმა, თავის ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებულმა ქართველმა ებრაელობამ დიდი მღელვარებითა და კმაყოფილებით აღიქვა თქვენი გულთბილი მოსალმება, რომლის წაკითხვის პატივი მქონდა 1995 წლის 24 იანვარს გამართულ ქნესეთის (პარლამენტის) საგანგებო სხდომაზე საქართველოდან რეპატრიაციის დაწყების 25 წლისთავს რომ მიეძღვნა.

საქართველოს ებრაელობა, ჩვენი ქართული თემი, რომელიც მყარად და თანამიმდევრულად იკიდებს ფეხს ისრაელის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, ერთი საიმედო და პერსპექტიული რგოლია იმ საქმეში, რასაც მსოფლიო ებრაელობის ინტეგრაცია ჰქვია. ამასთან, ჩვენ არ ვივიწყებთ ჩვენს ფესვებს. ჩვენი უძველესი ხალხების მეხსიერება ხომ ძმური თანაცხოვრების მრავალსაუკუნოვან ისტორიას მოიცავს.

ჩვენ სამართლიანად მიგვაჩნია ჩვენი თავი საქართველოს ისტორიის ნაწილად, საქართველოში დაირწა ჩვენი აკვანი და საქართველოდან მოგვძახიან ჩვენი წინაპრების საფლავებიც, ამიტომ ვერასოდეს ვიქნებით გულგრილნი იმ მოვლენების მიმართ, რაც საქართველოში ხდება.

დიდ პოლიტიკურ გარდატეხებს ხშირად თან ახლავს მტკივნეული მოვლენები. ისრაელის ქართველი ებრაელობა შეშფოთებითა და გულისტკივილით ადევნებს თვალს საქართველოში მიმდინარე პროცესებს. და მაინც მტკიცედ გვწამს, რომ მრავალნაცადი ქართველი ხალხი, ჩვენი საყვარელი დები და ძმები, როგორც არაერთხელ თავისი მძიმე და ტრაგიკული ისტორიის მანძილზე, ახლაც დაძლევს თავს კრიზისს და გაუძლებს ისტორიის მორიგ გამოცდას. ამის თავდებია მისი სიბრძნე და ქრისტიანული ღვთით მომადლებული ნიჭი.

ისრაელის მმართველ წრეებში დიდად აფასებენ იმ ძალისხმევას, რომელსაც თქვენ, ბატონო ედუარდ, ახმართ ახალი და დემოკრატიული საქართველოს მშენებლობას. ჩვენ ვერასოდეს დავივიწყებთ თქვენს ისტორიულ წვლილს ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ებრაელთა რეპატრიაციის საქმეში. ეს ხაზგასმით იქნა აღნიშნული ქნესეთის ზემოთხსენებულ სხდომაზე გამოსულ ისრაელის აბსორბციის მინისტრის ბატონ იაირ თაზანისა და სხვა დეპუტატების მიერ.

დარწმუნებული ვართ, რომ თქვენი მომავალი ვიზიტი ისრაელში დიდი ნიშანსვეტი იქნება ჩვენი ქვეყნებისა და ხალხების ურთიერთობაში. კიდევ ერთხელ მიიღეთ ჩვენი გულითადი მადლობა და კეთილი სურვილები.

მშვიდობა და აღორძინება ქართველ ერსა და სრულიად საქართველოს.

პატივისცემით,
ისრაელის ქნესეთის წევრი, ისრაელ-საქართველოს საპარლამენტო სამეგობრო ასოციაციის თავმჯდომარე **ეფრემ გური.**

ღონისძიებათა შესრულებას — მუდმივი კონტროლი!

1995 წლის 27 თებერვალს გამოიცა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის განკარგულება „საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის დიდ ბრიტანეთსა და ევროგაერთიანებაში ოფიციალური ვიზიტის შესახებ".

განკარგულებით დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის დიდ ბრიტანეთსა და ევროგაერთიანებაში ოფიციალური ვიზიტის შედეგების რეალიზაციის ღონისძიებები, რომლებიც ითვალისწინებენ თბილისის მე-9 და მე-10 ენერგობლოკების ავარიის შედეგების ლიკვიდაციას, თბილსრესის მე-11 ენერგობლოკის მოდერნიზაციასა და მშენებლობის დამთავრებას, ენგურჰესის გენერატორის რეკონსტრუქციას, 500-კილოვატსაათიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას, შრომისუბანზე ნავთობისა და გაზის მოპოვების პროექტების დაფინანსებას, ლითონური მანგანუმისა და კალიუმის პერმანგანატის წარმოების ორგანიზაციას, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი პროგრამის განხილვას, ერთობლივი ამერიკულ-ქართული ბანკის დაფუძნებაში თანამონაწილეობას, ერთობლივი ინგლის-საქართველოს ბანკის დაფუძნებას, ინგლისის ბანკში და ლონდონის ბირჟაზე ქართველი სპეციალისტების გადამზადებას, „ნოუ-ჰაუს ფონდის" პროგრამის გაფართოებას შესაბამისი დაფინანსების გაზრდით, ადამ სმიტის ინსტიტუტთან და თავისუფალი ბაზრის ე. წ. „ინტელექტუალურ ცენტრთან" დამყარებული კონტაქტების გაფართოებას, აზერბაიჯანის ნავთობის ტრანსპორტირების შესაძლებლობის შესწავლას საქართველოში არსებული მილსადენის გამოყენებით.

გარდა ამისა, მიღწეულია შეთანხმებანი ინგლის-საქართველოს ერთობლივი ნავთობის კომპანიის მოღვაწეობის შესახებ, საქართველო-ინგლისის ერთობლივი საზღვაო კომპანიის მოღვაწეობის შესახებ, ევროგაერთიანებასა და საქართველოს შორის „პარტნიორობის" ხელშეკრულების შესახებ და საქართველოსადმი ევროგაერთიანების მიერ ახალი ფორმით სტრუქტურული დახმარების აღმოჩენის შესახებ.

პასუხისმგებელ შემსრულებლებს დაევალათ მუდმივი კონტროლი გაუწიონ გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებას და შედეგები მოახსენონ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.

მტკიცდება ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობა

პრემიერ-მინისტრმა ბატონმა ოთარ ფაცაციამ მიიღო შავი ზღვის აუზის ქვეყნების ვაჭრობის კომპანიის წარმომადგენლები კომპანიის პრეზიდენტის, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მრჩევლის ერდალ კაბატეპეს მეთაურობით.

ბატონმა ერდალმა აღნიშნა, რომ მისი მიზანია ხანგრძლივი ეკონომიკური ურთიერთობა დაამყაროს საქართველოსთან.— ჩვენმა ორგანიზაციამ ხელშეკრულება დადო წყნეთის სამკერვალო ფაბრიკასთან, — განაცხადა სტუმარმა, — რომლის მიხედვითაც ფაბრიკას უზრუნველვყოფთ ნედლეულით და პროდუქციის რეალიზაციასაც ჩვენვე ვიკისრებთ. გარდა ამისა, დაიწყო მუშაობა მარტვილ-ფოთის წყალსადენის მშენებლობის პროექტის განხორციელებაზე. ამ წყალსადენმა სასმელი წყალი უნდა მიაწოდოს აღმოსავლეთისა და ევროპის ქვეყნებს. სტუმრებმა დიდი დაინტერესება გამოხატეს ფარავნის პერლიტის კარიერის ათვისებისადმი. ამ საკითხზე მოლაპარაკება გაგრძელდება. დელეგაციის წევრებმა გამოთქვეს სურვილი გახსნან სუპერმარკეტი ბავშვთა სამყაროს შენობის პირველ სართულზე, რაც, ალბათ, უახლოეს პერიოდში განხორციელდება.

დელეგაციის მორიგი ვიზიტი მიმდინარე თვის დამლევისთვისაა ნავარაუდევი.

მინისტრთა კაბინეტის პრესსამსახური.

კიდევ ერთი გაზაფხული

იგორ გიორგაძემ მიიღო

ჩვენს კორესპონდენტს ესაუბრება საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის თავმჯდომარე იგორ გიორგაძე.

— ამ ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა საზოგადოებრივი აზრი თქვენს მიმართ — ზოგი მართალი, ზოგი ჭორი... — რა უნდა იყოს ამის მიზეზი?

— ის აჟიოტაჟი, რომელზეც თქვენ მიუთითებთ, ინსპირირებულია იმათგან, ვისაც ხელს არ აძლევს სტაბილიზაცია საქართველოში. მისი იმპულსები აჭარიდან მოდის, და ამ „საქმეში" ჩართულია ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე (თუ კი არსებობს იქ უზენაესი საბჭო), რუსეთის არმიის იქ დისლოცირებული დივიზიის უფროსი, გენერალი გლადიშევი, რომელიც ფაქტობრივად მისი ხელქვეითი იყო... მათ ურთიერთობას სხვაგვარ კვალიფიკაციას ვერ მივცემ, რადგან ეს უკანასკნელი ბატონ აბაშიძისგან იღებდა ხელფასსაც და ბრძანებებსაც.

ასეთი დამოკიდებულება მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის არმიის უმაღლესი სარდლობისათვის და მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიაში დისლოცირებული რუსეთის არმიის ჯგუფის სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა თევდორე რეუტმა გადაწყვიტა წერტილი დასმოდა დივიზიაზე ასეთ კურირებას, ატყდა ეს განგაში.

ეს არის უშუალო, პირდაპირი მიზეზი იმისა, რომ ბატონ ასლან აბაშიძეს მიაჩნია, თითქოს საქართველოს უშიშროების სამსახურმა დაიწყო კამპანია მის წინააღმდეგ. ალბათ, გაგიკვირდებათ, საკითხის ამგვარი შემობრუნება, მაგრამ ნუ ეძებთ ლოგიკას იქ, სადაც იგი არ არის. „იზვესტიაში", „მოსკოვსკიე ნოვოსტიში" დაიბეჭდა წერილები, აჭარის ტელევიზიამ აიტაცა და გადასცა ინსინუაციები, თითქოს უკვე მეორე წელიწადია მოსაკლავად დაედევ ასლან აბაშიძეს; თითქოს თენგიზ კიტოვანის დავალებით უნდა მომეკლა იგი და — მსგავსი უაზრობანი, რომელთა ნამდვილი სახელი ცილისწამებაა.

როგორც ვთქვი, ეს იყო „მიზეზი ზედაპირზე". ახლა, მოდით, უფრო ღრმად ჩავიხედოთ.

ასლან აბაშიძე დაკვირვებული კაცია, ინფორმაციას ფლობს, იცის, რომ უკვე შეიქმნა აფხაზეთის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის კრიზისის გადაწყვეტის რეალური პირობები. ამ მწვავე პრობლემების გადაჭრა კი გამოკვეთს და გამოამჟღავნებს იმ ფაქტობრივ მდგომარეობას, რომელიც აჭარაში უკვე სამი წელიწადია ჩამოყალიბდა და შენიღბული თუ შეუნიღბავი სეპარატისტული მისწრაფებებით ხასიათდება.

მაშინ დაფარული აღარაფერი იქნება, თუმცა მოსახლეობისთვის ყველაფერი დიდი ხანია, ნათელია. სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით აჭარის მკვიდრთათვისაც კი აჭარაში შესვლა უფრო გართულებულია, ვიდრე უცხოეთის ნებისმიერ სახელმწიფოში: შემოწმებები, ჩხრეკა და ასე შემდეგ.

საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ბატონი ასლან აბაშიძე გზა და გზა ძალიან მარტივად პოულობს თანამოაზრეებსა თუ მხარდამჭერებს, მისი პიროვნების პროპაგანდისტებს. საკმარისია ეწვიოს საინტერესო სტუმარი, თუნდაც თბილისიდან, რომ ხდება, რბილად რომ ვთქვა, მოლაპარაკება, სტუმარი ძალიან კმაყოფილი ბრუნდება და ერთგული მომხრე ხდება მისი. ამის მოწმე მე თვითონ ვარ, რადგან ადრე ასეთი რამ ჩემს თვალწინ ხდებოდა. აბაშიძე ძალიან ხშირად ამით ამაყობდა.

ერთ-ერთ პარტიას, მაგალითად, გარკვეულ ეტაპზე, ძალიან უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა მისდამი. მაგრამ საკმარისი იყო იმ პარტიის ლიდერი ჩასულიყო ბათუმს, რომ ერთ კვირაში თბილისში გამოქვეყნდა საქებარი სტატია იმ პარტიის გაზეთში. ასლან აბაშიძემ მაშინ თქვა: — ხომ ხე-

დავთ, შეიძლება ხალხთან საუბარიო.

— საუბარი და დარწმუნება მართლაც შესაძლებელია...

— კი, მაგრამ აბაშიძის გარემოცვიდან გამოჟონა ინფორმაციამ, თუ რამდენი დაუჯდა ბატონ ასლანს ეს შექება.

არ შეიძლება XXI საუკუნის მიჯნაზე ფეოდალური, კლანური მეთოდებით მოჩვენებითი სიმყუდროვე დაამყარო ნებისმიერ კუთხეში. ავტომატით, შიშით, ავტორიტარული რეჟიმით დღეს, ინფორმაციის ყოვლისმომცველობის ეპოქაში, როდესაც ადამიანების საერთო განათლების დონე ამაღლდა, ხელმწიფოს ცივილიზებული მართვა შეუძლებელია. ასე ვერც წესრიგს დაამყარებ და ვერც ნამდვილ ავტორიტეტს მოიხვეჭ.

ავტორიტარული რეჟიმი დღეს თუ ხვალ, მაგრამ აუცილებლად დაემხობა. ასეთია დღევანდელი მსოფლიოს განვითარების ლოგიკა. აჭარაშიც იწყება მისი რღვევის პროცესი და ასლან აბაშიძე ცდილობს გახანგრძლივოს ხელისუფლების სათავეში ყოფნა იმ გზით რომელიც ორიგინალობით არ გამოირჩევა და რაზეც ზემოთ უკვე ვთქვი.

ინსპირირებული აჟიოტაჟის შემდეგი მიზეზი: ბევრი მასალა ადასტურებს, რომ ბატონი ასლან აბაშიძე არც ისე უწყინარი პიროვნებაა, როგორც პოლიტიკურ, ასევე ეკონომიკურ ასპარეზზე. აქედან გამომდინარე, ძალიან შეშფოთებულია.

ყველაფერი თავისი წესითა და რიგით ვითარდება. ეტაპობრივად წყდება ჩვენი ქვეყნის პრობლემებიც.

თავის დროზე უმნიშვნელოვანესი იყო (და რჩება) აფხაზეთის საკითხი. სამწუხაროდ, ჩვენ დავმარცხდით იმ მონაკვეთზე, იმ ეტაპზე, მაგრამ არა საბოლოოდ. დარწმუნებული ვარ, ამ დამარცხების შემდეგ ჩვენ უფრო ძლიერად დავდგებით ფეხზე. აფხაზეთის პრობლემა რომ გადაწყდება, ამაში ეჭვი არ მეპარება, რადგან ამ პროცესის უშუალო მონაწილე ვარ და ვფლობ ისეთ ინფორმაციას, რომელიც ასეთი დასკვნის უფლებას მაძლევს.

შემდეგი, ეტაპები — სამოქალაქო ომი და მისი შედეგების ლიკვიდაცია, კრიმინოგენული სიტუაციის განმუხტვისთვის ბრძოლა და ასე მიყოლებით.

პრობლემები გადაწყვეტის ფაზაში შევიდა.

მაგრამ დალაგებული საქართველო არც თუ ისე სასურველია ზოგიერთისთვის.

ისინი, ვინც იმ დაულაგებელ საქართველოში, პირდაპირ ვთქვათ, აშენდა, ვინც იშოვა უზარმაზარი თანხა, ვინც საზღვარგარეთ შეიძინა უძრავ-მოძრავი ქონება, ვისაც დღესაც აქვს საშუალება რესპუბლიკიდან უკონტროლოდ გაიტანოს ეროვნული სიმდიდრე, აფათუროს ხელი ბიუჯეტსა და კრედიტებში, ვისაც ხელს აძლევს გაუკითხაობა წარმოებისა და ვაჭრობის სფეროში, ვისაც საქართველოს საჭიროებისთვის ერთი მეასედიც კი არ გაუღია ამ გზით მოხვეჭილი სიმდიდრიდან (აქ უშუალოდ ასლან აბაშიძეზე მივუთითებ), ასეთებს, რა თქმა უნდა, ეშინიათ დალაგებული, დამშვიდებული საქართველოსი.

სხვა საკითხია, თუ რატომ მაინცა და მაინც მე ამომიღო მიზანში ბატონმა ასლან აბაშიძემ. რა დასამალია, რომ ეს მისთვის ძალიან წამგებიანია.

გეტყვით რატომაც.

როგორც უნდა ეცადონ ისინი და მისი ზოგიერთი თანამოაზრე და გულშემატკივარიც, უშიშროების სისტემა ვერ იქნება კორუმპირებული, რადგან მისი უარყოფა თვით ამ სისტემის ბუნებაში დევს. შეიძლება გვყავდეს ერთი ან ორი ნაძირალა, მაგრამ მათ თვით სისტემა გამოავლენს და მოიკვეთს. სხვა სტრუქტურებისგან განსხვავებით, ჩვენთან არ არის აკინძული კორუფცია პირველადი რგოლიდან ხელმძღვანელობამდე. სანამ ცოცხალი ვარ, ასე იქნება. შოვა სხვა, მაინც ასე იქნება.

კარგად იცით, რომ წინა ხელისუფლების პერიოდში შეეცადნენ უშიშროების სისტემის გახრწნას ვითომც ეროვნულ ტალღაზე კორუმპირებულებისა და ბანდიტების შემოყვანით, არ გამოუვიდათ.

ეს არც იგორ გიორგაძის დამსახურებაა, არც სხვა ვინმესი. თვით სისტემაა ასეთი, იგი ვერ მოითმენს, თუ კორუმპირებული იქნება.

აი, ამიტომ არის წამგებიანი ბატონ ასლან აბაშიძისათვის ჩემს წინააღმდეგ ასეთი მიზნობრივი გამოლაშქრება.

წამგებიანია იმათთვის, ვინც ფიქრობს, რომ ფულით, კორესპონდენტების, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოქმედი საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენელთა მოსყიდვით, შეკვეთილი რეპორტაჟებით შეიძლება ავნო ჩვენს სისტემას და პიროვნულად მეც.

თავის მართლებისთვის არ ვლაპარაკობ, ეს მე არ მჭირდება. ვამბობ იმას, რაც სრულად გამომჟღავნდება იმ შემთხვევაში, თუ მიღებული იქნება პოლიტიკური გადაწყვეტილება იმის გასარკვევად, რა და როგორ კეთდებოდა პირველი დღიდან, როდესაც ყოფილი ხელისუფლების მედროვეებმა კანონის დარღვევით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სათავეში ასლან აბაშიძე დასვეს.

თუ არა აჭარის მაშინდელი ხელმძღვანელების დიდი სულგრძელობა, იქ მაშინ სისხლი დაიღვრებოდა.

ყველაფერი ეს, აბსოლუტურად ყველაფერი ცნობილია აჭარაში, მთლიანად საქართველოში.

როგორც გითხარით, ყველაფერს თავისი დრო აქვს. ბატონმა ასლანმა ჩათვალა, რომ მისი დრო დადგა და ამის შესახებ განაცხადა, რატომღაც მაინცა და მაინც რუსული პრესის მეშვეობით.

თავს შევიკავებ ტერორისტული განზრახვებისა და აქტების შესახებ გაკეთებული განცხადებების კომენტარისგან. სხვა რომ არაფერი, ეს ჩვენი პროფესიული თავმოყვარეობის შელახვა იქნებოდა.

განა შეიძლება სერიოზულად აღიქვა მტკიცება, რომ თურმე ორი წელიწადია უშიშროების სამსახურს ცენტრალური ხელისუფლებისაგან (ე. ი. პირდაპირ მიუთითებს სახელმწიფოს მეთაურზე) დავალებული ჰქონდა ასლან აბაშიძის ლიკვიდაცია, და ეს ჩვენ ვერ შევასრულეთ?..

ერთი, ასე ვთქვათ, ლირიკული გადახვევა.

ჩვენი, გიორგაძეების ოჯახი 50-იანი წლებიდან აჭარაში ცხოვრობდა და შემიძლია სიამაყით ვთქვა, რომ გარკვეული მხარდაჭერით და თანადგომით სარგებლობდა და სარგებლობს. მამაჩემი მესაზღვრეა, იქ მსახურობდა, და თუ არ დავიბადე, ბიჭობა და კაცობა ბათუმში, ხიხაძირში და აჭარის მთის სოფლებში ვისწავლე, სადაც უამრავი ძმობილი და მეგობარი მყავს. მათ შესანიშნავად იციან, რომ ჩემს სიცოცხლეს ვანაცვლებ აჭარას, საქართველოს კეთილდღეობას.

დამერწმუნეთ, არ არის ეს მაღალფარდოვანი სიტყვები. ეს ჩე-

რით ვუშველოთ საქართველოს?

ვალერი ბაქრაძე დაიბადა 1947 წელს თბილისში. დაამთავრა თბილისის 28-ე საშუალო სკოლა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, ასპირანტურა. შემდეგ კომკავშირულ და პარტიულ სამუშაოზე იყო, ორი წლიწადი თავმჯდომარეობდა გამსახკომს, იყო საყოფაცხოვრებო კომუნალური მეურნეობის მინისტრის მოადგილე. შარშანდელი აგვისტოდან სახელმწიფოს მეთაურის პირადი და სრულუფლებიანი წარმომადგენელი და სახელმწიფო რწმუნებულია სამცხე-ჯავახეთში.

ვალერი ბაქრაძე:

დოვლათი ჩვენ თუ არ შევქმენით...

ჩვენი გასაკეთებელი საქმე ჩვენ უნდა გავაკეთოთ. თავი უნდა დავანებოთ მათხოვრობას: მოგვეცით, გამოგვიყვავით, დაგვაფინანსეთ

— ძალიან უჭირს დღეს ჩვენს ქვეყანას. ამ დროს თქვენ ერთ-ერთი ურთულესი რეგიონი ჩაგაბარეს სამართავად. მაგრამ მაინც მოასწრებდით გასცნობოდით მის ავ-კარგს. რა მიგაჩნიათ დღეს ყველაზე უპირველეს საკეთებელ საქმედ საქართველოში და, კერძოდ, სამცხე-ჯავახეთში?

— მძიმე დღეშია დღეს საქართველო. ძნელია ამომწურავად ჩამოთვალო ამის მიზეზები.

ჯერ იყო და კომუნისტური რეჟიმის დროს რესპუბლიკების მაქსიმალური სპეციალიზაცია მოახდინეს ცალკეული სახის პროდუქციის წარმოებაზე, რასაც სამეურნეო კავშირების ერთი ხელის მოსმით გაწყვეტის შემთხვევაში ეკონომიკის სრული კრახი უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდეც ყოფილი პრეზიდენტის ხელისუფლების დროს (მატარებლებს ვაჩერებდით და ამით თითქოს მარტო რუსეთის ეკონომიკას ვანგრევდით).

ამავე პერიოდში გაიძარცვა და გაიყიდა წარმოების საშუალებების დიდი ნაწილი, მაგრამ მავანმა და მავანმა საყოველთაოდ აამოქმედეს რა დევიზი „ომი ყველაფერს ჩამოწერს", არც დღემდე დაიკლეს და აკლებენ ხელს ქურდობას, საბოტაჟსა და ღალატს.

ბევრი მათგანი დღესაც მწყობრშია, წარმოებას, რაიონს და დარგს ხელმძღვანელობს.

სამართლიანად აღნიშნა სახელმწიფოს მეთაურმა ამასწინათ გამართულ რესპუბლიკურ თათბირზე: — თამაშს ყველამ თავი დავანებოთ, რესპუბლიკას ვემსახუროთ და ხალხს მივხედოთ.

სასაცილოა ზოგიერთი წარჩინებული ადამიანის გამოსვლაც პრესაში თუ ტელევიზიით. „მდგომარეობა რთულია, მაგრამ მე მწამს, ყველაფერი კარგად იქნება". უსაფუძვლო ოპტიმიზმი უმეცრებაა. მთავარია ჩვენი გაჭირვების ანალიზი გავაკეთოთ და მერე აღმავლობის გზა დავსახოთ. ეს გზა კი ერთია: წარმოებამ უნდა იმუშაოს. ასეთია ჩვენი ურყევი პოზიცია და უმკაცრესი მოთხოვნა ყველა საწარმოს ხელმძღვანელისადმი.

— რა მდგომარეობაა ამ მხრივ სამცხე-ჯავახეთში? შემორჩა თუ არა ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები?

— სამცხე-ჯავახეთის მხარეში ადგილობრივი მრეწველობის საერთო მოცულობამ 1994 წელს 16 მილიარდ კუპონს გადააჭარბა, რაც 1993 წლის 143 პროცენტია. ჩვენ ვაწარმოებთ ცემენტს, თაბაშირს, ვასხამთ მინერალურ წყლებს. მუშის საშუალო ხელფასი 20 მილიონი კუპონია. ვალეს ელქრავების ქარხანა 12 მილიარდი კუპონის, ხოლო კონდენსატორების ქარხანა 4 მილიარდი კუპონის პროდუქციას აწარმოებს.

მუშაობს ბორჯომის ავეჯის ფაბრიკა. 1994 წელს მან გამოუშვა 12 მილიარდის, ხოლო 1995 წელს დაგეგმილია 25 მილიარდი კუპონის პროდუქციის წარმოება. ავეჯი მხოლოდ ადგილობრივი რესურსების ბაზაზე კეთდება. შიდა რეზერვების გამონახვის ხარჯზე 1995 წელს აბასთუმნის ავეჯის საწარმო 6 მილიარდის პროდუქციას გამოუშვებს.

გამართულია დიატომიტის, აგატის და პემზის კარიერები.

ახალციხეში შესაძლებელია წლიურად 10-15 ათასი ტონა დიატომიტის მოპოვება.

დღეისათვის აღდგენილია კავშირები რუსეთთან, ყაზახეთთან და სხვა ქვეყნებთან. სარკინიგზო გზების გახსნა კი დიდ შემოსავლებს მოუტანს მხარეს და მთლიანად რესპუბლიკას.

— თქვენ არაფერი გითქვამთ, ბორჯომის ჩამოსასხმელ ქარხანაზე, ეს კი ყველას განსაკუთრებით აინტერესებს.

— დღეს ბორჯომის ქარხანა მწყობრშია, მას შეუძლია დღეღამეში ჩამოასხას 800 000 ბოთლი. ერთადერთი დაბრკოლება ის არის, რომ შეზღუდულია შუშის ტარის ქარხნების მუშაობა. ხელისშემშლელი პირობები კი საკმაოზე მეტია, გაზის უქონლობას მასალის შემოტანის გართულებაც დაემატა. თუ გზები გაიხსნება, სულ მალე მოწესრიგდება ეს საქმეც და „ბორჯომიც" უფრო უხვად გამოჩნდება დახლებზე.

— მრეწველობა გასაგებია, მაგრამ სამცხე-ჯავახეთი ოდითგან ხომ მეცხოველეობითა და სასოფლო-სამეურნეო წარმოებით იყო განთქმული. ახლა რა მდგომარეობაა?

— დღეს ახალციხეში 24 მეურნეობაა 59 ათასი ჰექტარი სავარგულით, 4 ათასი ჰექტარი სახნავით. ასპინძაში — 20 მეურნეობა 45 ათას ჰექტარ სავარგულს, მათ შორის, 3 ათას სახნავს აერთიანებს. სამწუხაროდ, წლიდან წლამდე დაუმუშავებელი რჩება 2 ათას ჰექტარამდე ფართობი.

ეს მეურნეობები სუსტია. რა მოგებაზე შეიძლება ლაპარაკი, ვთქვათ, მეცხოველეობაში, როდესაც ძროხა 1 ლიტრ რძესაც არ იწველის. საჭიროა ასეთი კოლექტივების ერთი ნაწილის პრივატიზების დაჩქარება, მეორისა ფერმერულ მეურნეობად გარდაქმნა, ხოლო მესამისა ერთ მძლავრ მეურნეობად გაერთიანება. ამ შემთხვევაში საშუალება მოგვეცემა დავეყრდნოთ ახალციხის რძის და ხორცის კომბინატები.

— თქვენ მაინც გაერთიანების მომხრე ხართ?

— დიახ, ჩვენი მრეწველობის განვითარება შესაძლებელია მხოლოდ ერთ მთლიან სამხარეო კომპლექსში, სახსრების, რესურსების და შესაძლებლობების ოპერატიული მართვის პირობებში. თითოეულმა რაიონმა მიუკერძოებლად უნდა ჩადოს თავისი წვლილი საერთო საქმეში. დღეს ცალ-ცალკე, დაქსაქსულად მუშაობა წამგებიანი იქნება. აქ არის მრეწველობის ამოქმედების რეზერვები, მხარის უდეფიციტო ბიუჯეტის წყაროები.

— მახსოვს, რა აჟიოტაჟი იყო ატეხილი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე. არც თქვენი მხარე დარჩენილა განზე. უზარმაზარი წერილები იბეჭდებოდა რესპუბლიკურ პრესაში: „საჭიროა თუ არა მინაძის ელექტროსადგური?" სამწუხაროდ, წინ არ ვიხედებოდით. დღეს კი ყველა ხვდება, რომ არაფერი გამოვა ელექტროენერგიის გარეშე.

— თავისთავად ცხადია, რომ არაფერი გამოვა ენერგეტიკის განვითარების გარეშე. დღეს სამცხე-ჯავახეთი მხოლოდ ჩითახევის 8 მეგავატი სიმძლავრის ჰესზეა „დაკიდებული".

რა კეთდება რესურსების ასამოქმედებლად? სულ ერთი თვის წინათ ისევ მწყობრში ჩადგა ხერთვისჰესი ასპინძის რაიონში 3 მეგავატი სიმძლავრით, რომელიც სასიცოცხლო ობიექტების მუშაობას მაინც უზრუნველყოფს. მხარის ადმინისტრაციის ძალისხმევით მაის-ივნისში აღდგება და 2 მეგავატს მისცემს ადიგენის რაიონს კაბარეთჰესი.

შეერთებული შტატების ქალაქ სან-ფრანცისკოს საქმიან წრეებთან დაიდო ხელშეკრულება, შემუშავებულია საპროექტო დოკუმენტაცია და უკვე წლეულს დაგეგმილია მდინარე ფარავანზე 7 ელექტროსადგურის: ნინოწმინდა, აბული, ახალქალაქი, ფარავანი, კორხი, მინაძე და ტაოჰესების მშენებლობის დაწყება. დამთავრების ვადა 2-3 წელიწადია. ეს მოგვცემს 250 მეგავატ ელექტროენერგიას.

ამერიკელები დაინტერესდნენ ვალეს ქვანახშირის გზითაც. აქ ჭაბურღილების მეშვეობით შესაძლებელია მოიპოვონ მეთანის გაზი, რომლის სითბური ენერგიის წარმოქმნა ტურბინებში 180 მეგავატ სიმძლავრის ელექტროენერგიას მოგვცემს.

ამერიკელები მარტში ჩამოდიან საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად, ხელშეკრულებების დადება კერძო პირებთან.

თუ ყველა ეს საკითხი ასევე წარმატებით წარიმართა, მომავალში გადაწყვეტილი იქნება სამცხე-ჯავახეთისა და ნაწილობრივ რესპუბლიკის ენერგეტიკული მომარაგების პრობლემა.

— მოგეხსენებათ, კერძო სექტორში დიდი რესურსები დევს. როგორ ეხმარებით მშრომელ ადამიანებს?

— მართალი ბრძანდებით. სამწუხაროდ, მოსახლეობას უჭირს ინდივიდუალურად შეიტანოს დოვლათი თბილისში და რესპუბლიკის დიდ ქალაქებში. ამიტომ, 1995 წლის გაზაფხულიდან, გადაუდებლად მიგვაჩნია, რომ მუშაობა განახლოს მოშლილმა და დაშლილმა დამზადების სისტემამ, ამასთან, მხარეს, თუნდაც დროებით, უნდა გადაეცეს თბილისის რამდენიმე სავაჭრო ობიექტი, სადაც ჩვენივე მომსახურე პერსონალი იმუშავებს, რაც გამორიცხავს პროდუქციის გადანაცვლებას ბაზარზე და ბაზრის მაფიის თარეშს. გარანტიას ვიძლევით, რომ ხილს, კარტოფილს, ხორცს საბაზროზე 40-45 პროცენტით ნაკლებ ფასებში მივყიდით თბილისელებს.

— ამბობენ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობამ ხელი რომ არ გაანძრიოს მარტო ხე-ტყე აცხოვრებსო?

— დიახ, ჩვენი მხარის ბუნებრივი რესურსების მარგალიტი ნამდვილად გახლავთ ხე-ტყე, განსაკუთრებით სამ რაიონში — ადიგენში, ახალციხეში და ბორჯომში ყოველწლიურად გამოყოფილი ფონდებით რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონები და ორგანიზაციები ამზადებენ 60 ათას კუბურ მეტრ ხე-ტყეს.

სამწუხაროდ, ამ სფეროშიც განუკითხაობაა, დიდი მაფია მოქმედებს. ასეთ პირობებში ძნელია ერთბაშად წესრიგის დამყარება. მიმდინარე წლიდან მოვითხოვთ დამკვეთი ორგანიზაციებისგან ზუსტ მონაცემებს, ხე-ტყე ჩვენთან ადგილზე დამზადდება და მომხმარებელი მზა პროდუქციას წაიღებს.

ამის მაგალითი ჯანდაცვის სამინისტრო გახლავთ, რომელიც აბასთუმანშივე ამზადებს სავადმყოფოსათვის საჭირო ინვენტარს. საქმის ამგვარად დაყენებას ბევრი სიკეთის მოტანა შეუძლია. ჯერ ერთი, დაიტვირთება ადგილობრივი წარმოება, მეორე მხრივ, კი მინიმუმამდე შემცირდება [illegible] გამოყენება.

მინისტრთა კაბინეტის სამსახურებმა კი, ფონდების ფორმირებისას, უნდა მოსთხოვონ ორგანიზაციებს წინა წელს გატანილი ხე-მასალის მოხმარების ანალიზი და შემდგომისათვის წარმოდგენილი მოთხოვნების დასაბუთება.

— შარშან შეიქმნა სამცხე-ჯავახეთის განვითარების ფონდი. რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას?

— წარმოების განვითარებასა და მოსახლეობის სოციალურ დაცვაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს 1994 წლის დეკემბერში შექმნილი სამცხე-ჯავახეთის განვითარების ფონდი. იგი თავს მოუყრის მატერიალურ რესურსებს (ფინანსებს, საწვავს, სამშენებლო მასალებს). ეს კი საშუალებას მოგვცემს უკვე გაზაფხულზე დავიწყოთ აუთვისებელი და მიტოვებული მიწების დამუშავება.

ფონდი რესურსების აკუმულაციის პირობებში დახმარებას გაუწევს წარმოებებს, რომლებსაც დღეს საწყისი კაპიტალი არა აქვთ, მაგრამ მუშაობის რეალური პირობები აქვთ.

იგი ხელს შეუწყობს მეტწილად დანგრეულ-გაძარცული ბაზალტის კარიერების ამოქმედებას, რაზეც დღესაც დიდი მოთხოვნაა, განსაკუთრებით რუსეთში.

ფონდის მეშვეობით და პურპროდუქტების კორპორაციის დიდი დახმარებით მხარეში ყოველკვარტალურად შემოდის დამატებით 120 ტონა ფქვილი, მოსახლეობისთვის გასანაწილებლად.

წლეულს ვაპირებთ ვარძიის ტურისტული კომპლექსის სრულ აღდგენას.

სულ ახლახან, დამატებითი სამუშაოების შედეგად, შესაძლებელი გახდა ახალციხის, ბორჯომის, ადიგენის და ასპინძის რაიონებში თბილისის ტელეგადაცემების შეუფერხებელი მიღება, მიმდინარეობს ქალაქ ვალეს სატელეფონო სისტემის განახლების სამუშაოები.

სულ სხვა იერი და ელფერი მიეცემა მხარეს, მის ეკონომიკას, მთლიანად რესპუბლიკას ახალციხე-თურქეთის საავტომობილო გზის გახსნის შემდეგ, რომელიც სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებით მიმდინარე წელს არის დაგეგმილი და რაზეც ინტენსიურად მუშაობენ რესპუბლიკის საგზაო დეპარტამენტი და მხარის ადმინისტრაცია.

— ბატონო ვალერი! დღეს საქართველოში კვლავ გვიხდება ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ. როგორ არის ამ მხრივ საქმე თქვენთან?

— დღეს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა დანაშაულის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა. რომელ პარტიასა თუ ორგანიზაციას, გაერთიანებასა თუ საზოგადოებას არ უნდა ეკუთვნოდეს პიროვნება, კანონის წინაშე ყველა ერთია. ამაზე საკმაოდ ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ საქმე არ ჩანს. ფაქტია, რომ ადმინისტრაციული ორგანოების ბევრი მუშაკი შერწყმია დამნაშავე ელემენტებს, გაძლიერდა მექრთამეობა და პროტექციონიზმი.

სტაბილური ოპერატიული ვითარება დღეს მხარეში სრულიადაც არ ასახავს რეალურ სურათს. პირველი დარტყმის შემდეგ პოტენციური დამნაშავენი გაყუჩდნენ და ზვერავენ — რა იქნება ხვალ. სწორედ ამიტომ, ბრძოლა მათ წინააღმდეგ ყოველდღე უნდა გამძაფრდეს და გაგრძელდეს მანამ, სანამ თითოეული მათგანის ქმედება კანონის მთელი სიმკაცრით არ შეფასდება.

ამის გარანტიას ჩვენთვის უკვე იძლევა ახლახან შექმნილი შინაგან საქმეთა სამხარეო სამმართველო.

აქვე მინდა დავძინო, რომ [illegible] დიდი სახელმწიფოს მეთაურის [illegible] ყურადღება მხარის პრობლემებისადმი [illegible] რესპუბლიკის მთავრობის დახმარება. ფაქტი ერთია: ჩვენი გასაკეთებელი საქმე ჩვენ უნდა გავაკეთოთ. თავი უნდა დავანებოთ მოთხოვნებს: მოგვეცით, გამოგვიყვავით, დაგვაფინანსეთ. რას მოგვცემს რესპუბლიკა, თუ დოვლათი მის თითოეულ მხარეში არ შეიქმნა. თითოეულმა მხარემ უნდა შეავსოს რესპუბლიკის ბიუჯეტი.

დარწმუნებული ვარ, თუ ასე ვიმუშავებთ, მალე რესპუბლიკის ეკონომიკაში მნიშვნელოვან წარმატებებს მივაღწევთ.

ესაუბრა
მარადი ანასაშვილი.

ომი, ხელისუფლება, ინფლაცია...

რუსეთის პრესა მთელ რიგ მიზეზთა გამო უმრავლესობისათვის ძნელად ხელმისაწვდომი გახდა. ვითვალისწინებთ რა ამას, ჩვენ ვხსნით ახალ რუბრიკას — „რუსეთის პრესის სარკეში", რათა შევამციროთ ინფორმაციის დეფიციტი. რა თქმა უნდა, ამომწურავი მიმოხილვის პრეტენზია ჩვენ არა გვაქვს, მაგრამ შევეცდებით გაგაცნოთ, როგორ აისახება ძირითადი სოციალურ-პოლიტიკური პროცესები და ტენდენციები რუსეთის წამყვანი გაზეთების ფურცლებზე, აგრეთვე — რას და როგორ წერენ ჩვენზე.

რუსეთის პრესის სარკეში

ასეთი გახლავთ ბოლო დროის სამი მთავარი თემა.

რუსეთის ჟურნალისტიკის დამოკიდებულება ჩეჩნეთში „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის" მეთოდების მიმართ კარგად არის ცნობილი. ძირითადად, იგი მკვეთრად უარყოფითია.

მაგრამ ერთსულოვანი წინასწარმეტყველებანი გრაჩოვის შესაძლო გადადგომის შესახებ შეიცვალა იმ სავალალო კონსტატაციით, რომ, წააგო რა ჩეჩნეთის ეპოპეა, იგი იგებს სააპარატო თამაშს და კარგად გათვლილი მანევრებით იცილებს თავიდან „ჭიუტ" გენერლებს.

ბევრი ანალიტიკოსი გამოთქვამს აზრს, რომ ელცინის მიერ გრაჩოვის მხარდაჭერა უსასრულოდ არ გაგრძელდება და პრეზიდენტმა შეიძლება იოლად შესწიროს ეს ფიგურა გარკვეულ გარემოებებს.

ამასთანავე გაისმა სრულიად ახალი ნოტები თვით პრეზიდენტის უახლეს გარემოცვაში. ვიაჩესლავ კოსტიკოვის აზრით, სამხედრო მანქანამ გამოავლინა თავისი ინტელექტუალური, პოლიტიკური და პროფესიული შესაძლებლობათა შეზღუდულობა.

ახლა — რაც შეეხება ხელისუფლებას, რომელმაც დემოკრატთა აზრით, გვარიანად შელახა რეპუტაცია, პრესამ შენიშნა ასეთი ტენდენცია: პრეზიდენტის ყოველი „მტკიცე" ნაბიჯი („საზოგადოებრივი აზრის" ფონდის მონაცემებით) უარყოფით გავლენას ახდენს მის რეიტინგზე; თუ 1992 წლის დამდეგს ელცინის მხარს უჭერდა ამომრჩეველთა 48 პროცენტი, ამავე წლის ბოლოს, გაიდარის გადადგების შემდეგ — უკვე 32 პროცენტი; 1993 წლის პარლამენტის შტურმის შემდეგ — 25 პროცენტი; ბერლინში „დირიჟორული მეცადინეობის" შემდეგ — 12 პროცენტი; 9 პროცენტი დარჩა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტს „ძილმა" შეუშალა და ჩაშალა ირლანდიის პრემიერთან დანიშნული შეხვედრა; ხოლო ჩეჩნეთის ოპერაციის შემდეგ მომხრეთა რაოდენობა 8 პროცენტამდე შემცირდა.

ჩვენი მკითხველებისთვის ალბათ განსაკუთრებით საინტერესო იქნება, რომ ჩეჩნეთის კრიზისის შეფასებებში, პირველ ყოვლისა, ვხედავთ, როგორ გაავლეს სრულიად დაუფარავად „ქართული პარალელი". შეიძლება ითქვას, რომ „საინფორმაციო ომი" ჩვენ საბოლოოდ მაინც მოვიგეთ. თუმცა სხვისი ხელით. ასე თუ ისე, ახლა აფხაზეთს პირდაპირ და უშუალოდ უკავშირებენ ჩეჩნეთს. თავიანთ ანალიზურ „სერიალში" რუსეთის ჩეჩნური პოლიტიკის შესახებ პოლიტოლოგები ემილ პაინი და არკადი პოპოვი ამახვილებენ ყურადღებას. სხვათა შორის, რუსეთის ლიბერალური საზოგადოებრიობის პოზიციაზეც, „აფხაზეთის დამოუკიდებლობისათვის მებრძოლნი", რომლებმაც რუსეთის თვითმფრინავებით დაბომბეს სოხუმი და ჩრდილოკავკასიელ დაქირავებულთა მეშვეობით რესპუბლიკიდან აჰყარეს 200-ათასიანი ქართული მოსახლეობა, ახლა კი ცინიკურად აწესებენ მისი რეპატრიაციის დოზებს, მამაბრამის ბატონების როლში კარგა ხანია აღარ ვარგანან. არადა, მოსკოვის ლიბერალური საზოგადოებრიობის რეაქციაზე ყოველივე ამას არავითარი გავლენა არ მოუხდენია: არც შეცბუნება თუ უხერხულობა თავიანთი ნებიერების საქციელის გამო, არც პროტესტი. მერედა რა, რომ არძინბამ თავიდანვე, ხოლო დუდაევმა მმართველობის მესამე წელს — გამოაცხადეს თავი სსრ კავშირის ერთგულ მომხრეებად. მერედა რა, რომ ორივე „იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლის" საუკეთესო მეგობრების რიცხვში აღმოჩნდნენ არცთუ საუკეთესო საბჭოელ-რუსი გენერლები და ჩეკისტები, მთელი ამ ბოლო წლების მანძილზე ჩუმ-ჩუმად რომ ჰყიდდნენ თავიანთ პროტეჟეებზე უახლეს იარაღს. ყოველივე ამას, თურმე არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონია: „აჯანყებული ხალხი, კეისრის ცოლის მსგავსად, ეჭვმიუტანელი ვერ გახდება".

თანამეგობრობის „უღიარებელმა რესპუბლიკებმა", — განაგრძობენ თავიანთ მიმოხილვაში პოლიტოლოგები, — დაიწყეს სამხედრო-პოლიტიკური კავშირების შეკვრა ერთმანეთთან. ჩეჩნეთმა ასეთი კავშირი დაუდო აფხაზეთს, ხოლო ამ უკანასკნელმა — დნესტრისპირეთს. აფხაზეთისა და დნესტრისპირეთის რესპუბლიკის ხელშეკრულებაში საგანგებოდ არის დათქმული ვალდებულებანი ორმხრივი სამხედრო დახმარების შესახებ. აფხაზეთ-ჩეჩნეთის ანალოგიური ხელშეკრულების შინაარსს დიდად არ ამჟღავნებენ, მაგრამ ქართველ-აფხაზთა ომში ჩეჩნების რაზმების მონაწილეობის ფაქტი საყოველთაოდ არის ცნობილი. აფხაზთა მხარის ძირითადი სამხედრო წარმატებანი მიღწეულია სწორედ ჩეჩენთა ბატალიონის წყალობით, რომელმაც მოპოვებულ გამარჯვებათა გამო „აფხაზური" ბატალიონი დაირქვა.

შემდეგ ე. პაინი და ა. პოპოვი, განიხილავენ რა ხელისუფალთა და მათი ოპონენტთა პოზიციას, ამტკიცებენ, რომ მაშინდელ ოპოზიციას სეპარატიზმის საკითხებში „არავითარი პოზიცია არ გააჩნდა". „არც იმას, რომელიც მოითხოვდა და მოითხოვს საბჭოთა სახელმწიფოს აღდგენას, და არც იმას, რომელიც მოუწოდებდა და მოუწოდებს „თავისუფლება მიანიჭონ" ჩეჩნეთს და რუსეთიდან გასვლის ყველა სხვა მსურველს". ნაციონალ-პატრიოტები სწორედ ამ დროს იბრძოდნენ, რათა „გაეთავისუფლებინათ" ყირიმი უკრაინისაგან, დნესტრისპირეთი მოლდავეთისაგან, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი — საქართველოსაგან".

ასეთი პროფესიონალური ანალიზის ფონზე ვერ შემიკავებია [illegible] რომ არ გავაცნო [illegible] „მარგალიტები" ნაციონალ-პატრიოტთა ცნობილი მეგობრის, ტელეჟურნალისტ ალექსანდრე ნევზოროვის ლოგიკური აზროვნებისა. კავკასიის ომში იგი ხედავს შესაძლებლობას შური იძიოს თავისი „დისთვის, ბაზარში რომ [illegible] დით, რომ „ეს ომი ჭკუას ასწავლის და თავაზიანად განაწყობს კავკასიელებს რუსეთის მიმართ".

მე არ მიმაჩნია აგრეთვე სერიოზული ყურადღების ღირსად ემოციური პასაჟები, ვინმე ვ. ემელიანენკოს რომ მოჰყავს თავის სტატიაში „ბანანის დიქტატურების კონტურები", თუმცა მათ ასეთივე ემოციური რეაქცია გამოიწვიეს ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკაში, ალბათ, იმიტომ, რომ ერთობ პოპულარული ყოველკვირეულის ფურცლებზე გამოქვეყნდა. ავტორი არ მალავს თავის კავკასიურ იდიოსინკრაზიას, მაგრამ არც თავის სპეციალობას ამჟღავნებს, ასეთი განსჯისთვის შეიძლებოდა ხელი მოეწერა კოლონიური საქონლის მედუქნესაც, თუმცა ამიერკავკასიაში ბანანი არ ხარობს.

მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო. ეს ადამიანური ფსიქიკის ჩვეულებრივი გამოვლინებაა. ჟურნალისტები კი, მოგეხსენებათ, ადამიანები არიან. ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ის, რაც მათ „ელანდებათ", აყალიბებს საზოგადოებრივ აზრს. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავ, რომ პერიოდში, რომელსაც ჩვენ მიმოვიხილავთ, მკითხველი ყველაზე მეტად ეტანებოდა რუბრიკებს „სენსაცია" და „სკანდალი". ერთ-ერთი ასეთი „სკანდალი" ჩვენ გვეხება.

გენერალი გლადიშევი ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარების სარდლობას ბრალს სდებს კორუფციაში, და ერთ კრიმინალურ ტაფაში აქცევს სარდალ რეუტს, თავდაცვის მინისტრ ნადიბაიძეს, უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელს გიორგაძეს და სხვებს, მერე კი განმარტავს: მე იმიტომ დამიწყეს დევნა, რომ მტკიცედ ვიცავდი კატაკლიზმებისაგან აჭარას და კარგად ვხელმძღვანელობდი იქ დისლოცირებულ რუსეთის ჯარებს. ეს ამბავი გრძელდება შემდეგ პუბლიკაციაში, სადაც სცენაზე გამოდის ასლან აბაშიძე, როგორც გლადიშევის თანამოაზრე და მათი საერთო დაუძინებელი მტრების შესაძლო მსხვერპლი.

ეს გაუთავებელი გადაბრალებ-გადმობრალება უკვე საყოველთაოდ არის ცნობილი და ყველას მობეზრდა, მაგრამ როგორ გაიხსნება ეს კვანძი, ჟურნალისტმა წინასწარმეტყველებმა არ იციან. ვარაუდობენ მხოლოდ, რომ „პატარა აჭარა შეიძლება დიდი ძვრის წყაროდ იქცეს" და ისევ: ვისაც რა ესიზმრება, ის ელანდება, სასურველს სინამდვილედ ასაღებენ და ვიღაცას ეს გარკვევით აძლევს ხელს.

სულ ეს არის სადღეისოდ. რუსეთის გაზეთების მესამე ცენტრალურ თემაზე „ინფლაციაზე" ლაპარაკი არც ღირს. ამ თემაში ალბათ ჩემზე უკეთ ერკვევიან მკითხველები, ვისაც რუსული მანეთები აქვთ.

იური მოსეშვილი.

(„იზვესტიას", „ნეზავისიმაია გაზეტას", ყოველკვირეულების — „არგუმენტი ი ფაკტი", „ზა რუბეჟომ", „მოსკოვსკიე ნოვოსტი", „ობშჩაია გაზეტას" მასალების მიხედვით).

P. S. როდესაც მიმოხილვა გამზადებული იყო დასაბეჭდად, ყველა ზემოაღნიშნული თემა უკანა პლანზე გადასწია ცნობამ ვლადისლავ ლისტიევის მკვლელობის შესახებ.

მე არ მახსოვს, რომ კულტურის რომელიმე კორიფეს გარდაცვალების ამბავს ასეთი რეზონანსი გამოეწვიოს. და მაინც...

კომენტატორთა უმრავლესობა უარყოფს პოლიტიკურ მოტივებს და უფრო იმ ვერსიისაკენ იხრება, რომ ლისტიევის ახალმა დანიშვნამ ვიღაც-ვიღაცეებს გადაუკეტა მოგების გზები. ჩვენი დროისათვის დამახასიათებელი და სავალალო შედეგია. მაგრამ მოვიცადოთ, ვნახოთ, რას იტყვის გამოძიება.

ი. მ.

ჩვენი მღელვარებისა ბოლომდე გულახდილად!

ასლან აბაშიძის გამოწვევა

მი მრწამსია. ვოცნებობ, პენსიაზე გასვლის შემდეგ, ამ ქვეყანად ყოფნის უტკბილესი წლები ამ კუთხეში გავატარო. მეგობრები, რომლებიც ვახსენე, ამის გამო მეხუმრებიან კიდეც, — ქვიშა რომ გაგცვივა და ჩამოხვალ, რაღად გვინდიხარ, ადრე გელოდებით, სანამ რამის გაკეთება შეგიძლიაო.

იმის მეშინია, რომ ავტორიტარიზმისკენ პროვინციულმა სწრაფვამ არ იმსხვერპლოს ის, თუნდაც მოჩვენებითი, სიმშვიდე, რომელიც დღეს აჭარაში არის, რადგან ასლან აბაშიძეს ძლიერი ოპოზიცია ჰყავს. ეს ოპოზიცია ჭკვიანი და გონიერია და მისი ამ თვისებებიდან გამომდინარე მოვუხმობ — არავითარ შემთხვევაში იარაღით, ძალადობით არ გაილაშქრონ თუნდაც ფეოდალურ-კლანური ხელისუფლების წინააღმდეგ.

ის, რასაც დღეს აჭარის ერთპიროვნული მმართველი ასლან აბაშიძე აკეთებს, ხვალ და ზეგ სასაცილოდ გამოჩნდება. მინდა, რომ მხოლოდ ასე იყოს და თან ცრემლი არ ახლდეს.

ნორმალურად მოაზროვნე კაცი კარგად გაიგებს, რომ, რა თქმა უნდა, თბილისიდან აჭარაში ტერორისტები არავის გაუგზავნია. მხედველობაში მაქვს უშიშროების სამსახური და „თბილისის ცენტრალური ხელისუფლება", როგორც მას ასლან აბაშიძე უწოდებს.

არც სახელმწიფოს მეთაურს, არც არცერთ სხვა ხელმძღვანელს არ მიუღია გადაწყვეტილება, რომ ხელყონ ასლან აბაშიძის სიცოცხლე და დესტაბილიზაცია შეიტანონ აჭარაში. ამის გაფიქრებაც წარმოუდგენელია.

თავად განსაჯეთ: ქვეყანა აფხაზეთის კრიზისის გადაწყვეტას ელოდება, ამისთვის ყველაფერი კეთდება, საქმეც აქეთკენ მიდის და ამ დროს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ორგანიზაციას უკეთებს არეულობას აჭარაში?! ასეთ რამეს ჭკუათმყოფელი ვერც იფიქრებს და ვერც წარმოიდგენს.

მაგრამ არეულობა ხელს აძლევს იმას, ვისაც არ სურს აფხაზეთის პრობლემის გადაწყვეტა. არ სურს კი იმას, ვინც გრძნობს და ხვდება, რომ დგება დრო მისი პასუხისგებისა, როდესაც ხალხი მოჰკითხავს — რას აკეთებდი შენ სამოქალაქო ომის დროს? რატომ აწვდიდი სახელმწიფო გადატრიალების ინსპირატორებს საწვავს, საკვებს, ტყვია-წამალს? ეს მასალები არის და მან იცის ეს.

ბატონმა ასლანმა ვერ განსაზღვრა, რომ ყველაფრის ყიდვა შეუძლებელია. მას ეგონა, რომ მისი მხარდამჭერნი სხვა სახელმწიფოთა ზედა ეშელონებში, როგორც კი იგი ამ კამპანიას წამოიწყებდა, იგორ გიორგაძეს კისერს მოუგრეხდნენ, თბილისს „ცენტრალურ ხელისუფლებას" კრიზისს შეუქმნიდნენ, თვითონ ამომავალ ვარსკვლავად მოევლინებოდა ქვეყანას და ჩვენ ყველას გაგვყრიდნენ საქართველოდან.

არ იქნება ასე, არავითარ შემთხვევაში.

— მაგრამ ხომ იყო კარგა ხნის წინათ ინფორმაცია პრესაში იმის თაობაზე, რომ გარკვეულ ძალებს სწორედ იგი მიაჩნდათ ერთადერთ კანდიდატად პრემიერ-მინისტრის იმხანად ვაკანტური პოსტის დასაკავებლად? ამ ძალებზეც ხომ არ გულისხმობთ? მერე, თითქოს, მათ შორის უთანხმოებაც მოხდა...

— არა. პირადად სახელმწიფოს მეთაურმა მე, იგორ გიორგაძეს, რომელიც მაშინ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ ვითვლებოდი, მომცა დავალება; ჩავედი აჭარაში და ბატონ ასლან აბაშიძეს გადავეცი სახელმწიფოს მეთაურის წინადადება ჩამოსულიყო თბილისში და პრემიერ-მინისტრის პოსტი დაეკავებინა...

აი, ვაცლი ბატონ ასლან აბაშიძეს და, მოგვიანებით, სხვა ინტერვიუში გეტყვით, რა პასუხიც მივიღე მისგან ამ წინადადების გამო. ის, რომ პასუხი უარყოფითი იყო, გასაგებია, მაგრამ რა არგუმენტაცია ახლდა ამ უარყოფას, თუ ძალიან მოისურვებს ბატონი ასლანი, გამოვაქვეყნებ.

ბატონმა ასლანმა დაარღვია სახელმწიფო მოღვაწის ქცევისა და მოქმედების დაუწერელი, მაგრამ საყოველთაოდ აღიარებული პრინციპი — პოლიტიკური საკითხების, რომლებიც სახელმწიფოს დონეზე „იხარშება", სამზარეულოების პირად გამოტანის დაუშვებლობა.

მაგრამ მან ეს გააკეთა, გაზეთ „იზვესტიაში" ალაპარაკა გენერალი გლადიშევი, რომელიც მე არ მიცნობს, მაგრამ შეფასებებს კი მაძლევს. ეს გენერალი ძალიან შორს იდგა ყველა პრობლემის გადაწყვეტისგან, სამაგიეროდ ფრიად დაინტერესებული იყო არყით, ფულით და ასლან აბაშიძის მომსახურებით. აი, ასეთი კაცი აცხადებს, რომ მე, პროფესიონალი, თბილისიდან ჩავედი მასთან, გლადიშევთან და ვთხოვე, რომ ის, ბათუმში ჩაკეტილი რუსეთის ერთი დივიზიის მეთაური (?!) გროზნოში მყოფ ზვიად გამსახურდიას მოსპობაში დამხმარებოდა. ასეთ აბსურდს ასლან აბაშიძის გარდა გლადიშევს სხვა ვერ ათქმევინებდა. ეს პირველი.

მეორე, როცა სპეციალურად ჩატარებულ თათბირზეც და პრესაშიც აცხადებს, რომ ყველა ტერორისტული აქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა რესპუბლიკაში, იგორ გიორგაძის მოწყობილია, ეს იმდენად დაბალი დონისაა, რომ აქ, თბილისში მოკიჟინე ზოგიერთი პარტიის განცხადებებს თუ შეედრება. ეს არც ეთიკის, არც მორალის ჩარჩოებში არ თავსდება.

აი, ამ ინტერვიუთი (და არა მოსკოვის პრესით) ვეუბნები მას: შეჩერდით, თავშეკავება და სიდინჯე... ხალხს ნუ ძაბავთ, ეს თქვენს საწინააღმდეგოდ შემობრუნდება.

მესმის, რომ ასლან აბაშიძეს არჩევნები ხელს არ აძლევს. ეს ყველამ იცის. საბრინას და ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდის დონეზე დალაგებული აჭარა არავის სჭირდება.

ჰკითხოს გლეხებს, მშრომელ კაცს, უბრალო თანამდებობის მქონე ადამიანებს, რატომ საუბრობენ ისინი თავიანთ ოჯახებში ჩურჩულით? ეშინიათ, ეგი თუ ასლან აბაშიძის ყურებმა მოისმინოს სიმართლე, რომელსაც საკუთარ ოჯახში ცოლ-ქმარი ერთმანეთში ლაპარაკობს... ეს მოსახლეობამ იცის, იმათაც იციან, ვინც ყველა სუფრაზე, როგორც აუცილებელ სადღეგრძელოს, ფეხზე ადგომით ამბობს: — ჩვენს ბაბუს გაუმარჯოს! და თვალიერებს, ყველამ თუ დაინახა, რომ მან ეს სადღეგრძელო შესვა.

ხალხის ასე დაბეჩავება არ შეიძლება!

ჩემი ნათქვამი მხოლოდ მინიშნებაა ბატონ ასლანისთვის — გონს მოვიდეს. მას ხელი გაუწოდა სახელმწიფოს მეთაურმა, ყველა რესპუბლიკურმა სტრუქტურამ, ეფერებიან...

— ესე იგი, ჩვენც აქედან შევუწყოთ ხელი.

— კი, როგორ არა, მაგრამ იყო სხვა ვარიანტი? შეეძლო რესპუბლიკის ხელისუფლებას აღსდგომოდა მის ამბიციებს და ამით შექმნა კონფლიქტის ახალი კერა, მაშინ, როცა აფხაზეთის ომი იყო, გამსახურდია — ზუგდიდში, სამოქალაქო ომის ფრონტი — ქუთაისთან? რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა.

გონზე მოსვლის საშუალება მისცეს, თუმცა იყო წაყრუების ელემენტებიც.

მაგრამ მუდმივად ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

არ შეიძლება, მაგალითად, რომ საქართველოს კარიბჭე ვიღაცის ბიუჯეტის გაზრდაზე მუშაობდეს და არა საქართველოს ბიუჯეტზე. საზღვარი, სანაოსნო... ეს ასობით მილიონი დოლარია.

ძალიან სერიოზული ეკონომიკური დანაშაულობანი ხდებოდა აქ ბოლო 3-4 წლის განმავლობაში.

ყველაფერს აქვს დასასრული.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მივმართავ ყველას, რომ არავითარ შემთხვევაში არ დავძაბოთ სიტუაცია, არ ავყვეთ პროვოკაციებს, მაგრამ უპასუხოდ არ უნდა დავტოვოთ ისეთი რამ, რაც დღეს აჭარიდან მოდის.

— თქვენზე გამოლაშქრების მიზეზი იქნებ უშიშროების სამსახურის გააქტიურებაც იყოს? თუნდაც 18 იანვრის ავანტიურის აღკვეთა, რომელსაც თქვენი მტერიც და მოყვარეც აფასებს როგორც მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარებულ ოპერაციას. მაგრამ პროფესიონალიზმი ადამიანური ვნებებისგან დაცლას არ გულისხმობს. ალბათ, შინაგანად რაღაც წინააღმდეგობის, ტკივილის დაძლევა მაინც უხდება თქვენნაირ სამსახურში მყოფ ადამიანს, თქვენც პირადად...

— უპირველესად იმას გეტყვით, რომ მოყიყინე ვაიპატრიოტებმა დაღალეს საქართველო. ცნება პატრიოტიზმისა იმდენად გაუფასურდა, რომ ძალიან ბევრს, ვინც ამ პრინციპს აღიარებს არა ქუჩისთვის, არა ლოზუნგისთვის, არამედ როგორც ცხოვრების კრედოს, ამის თქმისაც ერიდება.

თენგიზ კიტოვანმა და სხვებმა ყურად არ იღეს ჩვენს მიერ არაერთხელ განცხადებული, რომ უშიშროების სამსახური არის სახელმწიფოს სტაბილურობის გარანტი, ბევრს ეს განცხადება 13 იანვრამდე ცარიელ ლოზუნგად მიაჩნდა.

იმ 1500-მდე კაცს, ვინც მოტყუებით შეაგროვეს, წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ ისინი დიდ, სისხლიან ავანტიურაში ჩაითრიეს, რომელსაც სამოქალაქო ომის რეციდივი ერქვა.

ასე რომ იყო, თენგიზ კიტოვანს ჩემთვის არც დაუმალავს. ერთი თვის წინათ, ერთმანეთთან გულახდილი და პირდაპირი საუბარი გვქონდა. დაახლოებით ასეთი შინაარსის:.

თენგიზ კიტოვანს ვეუბნები, რომ „ფრონტის" შექმნა, მასში შეიარაღებული ფორმირებების გაერთიანება აფხაზეთის დაბრუნების ლოზუნგით არის წმინდა წყლის ავანტიურა, რასაც სისხლიანი შედეგები მოჰყვება.

მან მიპასუხა, რომ ეს ყველაფერი მას დასავლეთ საქართველოში დასაბანაკებლად სჭირდება, რათა საბოლოოდ წააქციოს სატანა.

სატანას სახელმწიფოს მეთაურს უწოდებდა.

ვეუბნები: — სანამ ხელისუფლებას შეებრძოლები, ჯერ მე უნდა შემებრძოლო, რადგან დღეს მე ვარ იმ სტრუქტურის ხელმძღვანელი, რომლის იმედი უნდა ჰქონდეს ქართველ ხალხს, რესპუბლიკას, რათა არ განმეორდეს სისხლიანი ავანტიურა.

მან თქვა: — შევეჯახოთ. ცოტა ხუმრობის კილო მისცა ჩვენს საუბარს.

ვუთხარი, რომ მე არ მეხუმრება მაშინ, როდესაც საუბარია მომავალ სამოქალაქო ომზე, რომელსაც არ დავუშვებ, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად.

ძალა მორევაზეაო.

ამით დავცილდით.

ყოველი მომდევნო დღე ჩვენი უკონტაქტო ურთიერთობისა (ჩემი პირველი მოადგილე ავთანდილ იოსელიანი ყოველდღიურად ურჩევდა ხელი აეღო უაზრო განზრახვაზე), იყო ავანტიურის შეჩერების განუწყვეტელი მცდელობა.

თენგიზ კიტოვანმა, პელესა და მაიკლ ჯორდანისგან განსხვავებით, ვერ იგრძნო, რომ მისი მოღვაწეობის მწვერვალი კარგა ხნის გასულია და ცუდ ფორმაში მყოფმა მაინც გააგრძელა თამაში. შედეგიც შესაფერისი მიიღო.

მე მართლაც ვამაყობ, რომ ჩვენი დაგეგმილი ოპერაცია მაღალ პროფესიულ დონეზე ჩატარდა და ჩვენი უცხოელი კოლეგებიც, ოკეანის გაღმა, თუ უახლოესი მეზობლები, ამავე აზრისანი არიან. ეს ისეთი გრძნობაა, რომელსაც ნებისმიერი პროფესიონალი კარგად იცნობს. აი, თუნდაც, როდესაც ზურაბ ანჯაფარიძეს დიდ თეატრში ფეხზე ამდგარი მაყურებელი უკრავდა ტაშს, როდესაც ოვაციები გაუმართეს ჯანსუღ კახიძეს, განთქმულ სიმფონიურ ორკესტრს რომ უდირიჟორა, მაშინ.

ალბათ, მართლაც მივაღწიეთ რაღაც დონეს, როდესაც ასეთი მნიშვნელოვანი და მასშტაბური ოპერაცია პრაქტიკულად უსისხლოდ განვახორციელეთ, აღვკვეთეთ სამოქალაქო ომის რეციდივის კერა.

მე პარლამენტის ტრიბუნიდანაც ვთქვი და თქვენი გაზეთის მეშვეობითაც ის, რასაც კიდევ ერთხელ გავიმეორებ: მინდა იცოდნენ თენგიზ კიტოვანის ახლობლებმაც და ნათესავებმაც, რომლებიც საყვედურს გამოთქვამენ — ეს არის კაცობა, აქამდე ხომ ერთად იყვნენო! — ჩემმა ღვიძლმა შვილმაც რომ განიზრახოს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული მოქმედება, არ დავინდობ. თუ გვსურს ავაშენოთ ნამდვილი სახელმწიფო, ასე უნდა მოვიქცეთ. არ შეიძლება „კარგი ბიჭობით" სახელმწიფოს აშენება.

რა თქმა უნდა, ამანაც განაპირობა ვნებათაღელვა აჭარაში. დაინახეს ორგანიზებული, მოწესრიგებული, მაღალპროფესიული კოლექტივი, რომელიც სააშკარაოზე გამოიყვანს არა მარტო იმას, ვისაც იარაღით ხელში სურს სახელმწიფოს სათავეში მოსვლა, არამედ იმათაც, ვისაც ჩადენილი აქვს ისეთი ქმედებები, რომელთა გამო პასუხი უნდა აგონ. უნებლიე თუ შეგნებული შეცდომებიც, ამას სასამართლო გაარკვევს.

რაც ვთქვი, მხოლოდ მინიშნებაა, ბოლო ზარია სპექტაკლის მორიგი მოქმედების დაწყების წინ.

ვთხოვ ბატონ ასლან აბაშიძეს, მეორე პირს ჩვენს პარლამენტში, ჩამოვიდეს თბილისში და საპარლამენტო მოსმენაზე წარვდგეთ ერთმანეთის პირისპირ. მზად ვარ ვუპასუხო ყველა მის ეჭვსა და პრეტენზიას, მაგრამ მასაც ვთხოვ პასუხი გამცეს პარლამენტის წინაშე. მზად ვარ პასუხი ვაგო, თუ რომელიმე ჩემს გამოსვლაში რადიოთი, ტელევიზიით, პრესაში ერთი წინადადება, ერთი სიტყვაც თუ არის, აჭარაში დესტაბილიზაციისკენ რომ მოუწოდებდეს.

მიმაჩნია, რომ პარლამენტი საქართველოში თავის ფუნქციას ასრულებს და, რაც დრო გადის, — უკეთესად. ის, რაც ჩვენ გვიკვირს და გვეხამუშება, სხვა პარლამენტებშიც ხდება. მზად ვარ გამოვიდე ამ პარლამენტის წინაშე.

— გამოხვიდეთ როგორც ბრალდებული?

— იცით, მე მაინც თავს შევიკავებდი. თუ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებული იქნება, და ეს პროცესი დასაჩქარებელია, დღესაც მზადა ვარ.

— ხვალ გაზაფხულის პირველი დღეა (საუბარი 28 თებერვალს შედგა, — ა. ს.), ვის რას უსურვებდით?

— გაზაფხულზე ხომ იღვიძებს ბუნება... მინდა, რომ ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა ახლადშენებარე სახელმწიფომ გაიღვიძოს. გაიღვიძოს და დაინახოს, რომ ის ძალები, რომლებიც საქართველოს გუშინდელი კი არა, უკვე გუშინწინდელი დღეა, ვეღარ შექმნიან პოლიტიკურ ამინდს, — ნამდვილი გაზაფხული დგება!

ერთი სურვილი მაქვს, — ყოფილიყოს ეს გაზაფხული იმის მომასწავებელი, რომ ლამაზ შემოდგომას შევხვდეთ ერთიან, ძლიერ, გალაღებულ საქართველოში და ამ გაზაფხულის მომწიფარე ქართველებმა ხავერდოვან სეზონზე შავი ზღვის სანაპიროზე, აფხაზეთში დაისვენონ.

• • •

ნეტავმც... მაგრამ როდის დაისვენებს ყველაფრისგან დაღლილი საქართველო?

ესაუბრა
არმაზ სანებლიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

„ბაგრატის ტაძრის“ ახალი ნომერი

ბაგრატის ტაძრის კომპლექსის აღორძინების ფონდის ჟურნალის „ბაგრატის ტაძრის“ (რედაქტორი ნესტან ნებულიშვილი) უკვე მესამე ნომერი გამოვიდა და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ნომრიდან ნომრამდე უმჯობესდება მისი როგორც გარეგნული სახე, ისე შინაარსობრივი დონე.

ჟურნალის ამ ნომერში ვრცლად არის წარმოდგენილი ლიტერატურა და ხელოვნება, რესპუბლიკის კულტურის ცხოვრების ამსახველი ინფორმაციები, იბეჭდება იმ პიროვნებებისა და ორგანიზაციების ვინაობა, რომლებმაც ბაგრატის ტაძრის აღორძინების ფონდს თანხა შესწირეს.

უმიზეზო ახირებიდან — დახვრეტამდე

ქუთაისის ერთ-ერთ კომერციულ მაღაზიაში, ქალაქში დროებით მცხოვრები გიორგი რუხაია, მთვრალი, სრულიად უმიზეზოდ აუხირდა იქ მყოფ მოქალაქეებს და უნებართვოდ შეძენილი „მაკაროვის“ სისტემის იარაღით სიცოცხლეს გამოასალმა ორი ადამიანი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში დადასტურდა გიორგი რუხაიას ბრალი დანაშაულის ჩადენაში, სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სასჯელის განსაზღვრისას გაითვალისწინა, რომ განსასჯელს არ გააჩნდა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, დანაშაული ჩაიდინა მთვრალმა და შეუფარდა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — დახვრეტა.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური.

დაიწვა საკუთარ ბინაში

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, 1 მარტს, 04 საათსა და 40 წუთზე ქუთაისში, გელათის ქუჩა № 58-ში მდებარე ერთსართულიან სახლში გაჩნდა ხანძარი, რის შედეგადაც სახლი მთლიანად დაიწვა.

საუბედუროდ, არის მსხვერპლი. საკუთარ ბინაში დაიწვა ვერა დვალი.

ხანძრის გამომწვევი მიზეზი იყო უმეთვალყუროდ დატოვებული სანთელი.

ქურდები ყველაფერს კადრულობენ

პირველ მარტს ქეთევან წამებულის პროსპექტზე და ბალდადის ქუჩაზე ელდენის მიმწოდებელი ხაზის დაზიანების ლიკვიდაციისათვის საჭირო სამუშაოებმა თითქმის 6 დღით დააყოვნეს ტრამვაისა და ტროლეიბუსების შრომის რიტმი. ტრამვაის ათობით ვაგონი და სხვა სახის ტრანსპორტი კი უპატრონოდ იყო მიტოვებული.

ბნელ საქმეთა ოსტატებმა სრულად ისარგებლეს „ხელსაყრელი“ ვითარებით და დღისით, მზისით მეთვალყურეობის გარეშე დარჩენილი ვაგონებიდან ახსნეს და გააუჩინარეს 260-ზე მეტი კვანძი და დეტალი, რომელთა საერთო ღირებულება ასეულ მილიონობით კუპონს აღემატება.

ირაკლი ხვედელიძე.

ააფეთქეს გაზსადენი

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, სოფელ კირაჩ მუღანლოსთან ბაბაქარის მინდვრებში გაზსადენის დაცვიდან ოთხი კილომეტრის დაშორებით, აზერბაიჯანის საზღვართან, დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა ააფეთქეს სომხეთის გაზსადენი.

საქმეს იძიებს მარნეულის უშიშროების განყოფილება.

გთავაზობთ!
საწერ, საბეჭდ,
ქსეროქსის, პრინტერის,
და სარედაქციო პერგამენტის
ქაღალდს
ადგილზე მიწოდებით.
ანგარიშსწორება
როგორც ნაღდზე, ასევე
გადარიცხვით
☎ 98-87-40

კოლეგა

ნატო ონიანი:

„ასჯერ გაზომილს ასმეერთედ ვზომავ“

საქართველოში პოპულარობა ორიგინალური სახით არსებობს. ესა თუ ის პიროვნება ადამიანების ერთ ნაწილს ძალიან უყვარს, მეორე ნაწილს ასევე ძალიან არ უყვარს. დღეს ჩვენში ხელოვანზე უფრო პოპულარულია ის, ვინც მეტ-ნაკლებად ახლოს დგას პოლიტიკასთან.

ჩვენი დღევანდელი სტუმარიც უყვართ და არ უყვართ, რადგან პოპულარულია, იგი პოლიტიკური ჟურნალისტი გახლავთ. პოლიტიკური ჟურნალისტები კი, როგორც ნატო ონიანი ამბობს (რა თქმა უნდა, საკუთარი გამოცდილებით და თანაც ღიმილით):

— არ უყვართ!

— **მიზეზი?**

— მიზეზი საკმაოდ მარტივია. ვის პოზიციასაც ეწინააღმდეგები, მას თავისთავად არ უყვარხარ. ვის პოზიციასაც იზიარებ, ალბათ, არც მას უყვარხარ, რადგან იცის, რომ ხვალ შეიძლება მასაც დაუპირისპირდე. უკმაყოფილო გყავს ისიც, ვისაც საერთოდ არ ახსენებ. პოლიტიკური ჟურნალისტიკა შედარებით ახალი ხილია საქართველოში. შეცდომები, უდავოა, იქნება. შეცდომას გაპატიებენ, სიცრუეს კი — არა. ის, ვინც პოლიტიკურ ჟურნალისტობას გადაწყვეტს, პირველყოვლისა, საკუთარ თავთან უნდა იყოს მართალი.

არანორმალური დღის რეჟიმი მაქვს. ორი წელიწადია ჩემთვის შაბათი და კვირა არ არსებობს. მაგრამ, ჯერჯერობით, ვუძლებ. იქნებ იმიტომაც, რომ მიყვარს ჩემი საქმე. შეიძლება, არ ვთქვა, ან ვერ ვთქვა ის, რაც ჩემს მაყურებელს სურს, მაგრამ მთავარია, მე მას არ ვატყუებ.

— **როცა აღმოჩნდება, რომ რაღაცაში ან ვიღაცის წინაშე მართალი არ ყოფილხართ, თუ შეგიძლიათ უკან დახევა და ბოდიშის მოხდა?**

— დიდ პატივს ვცემ ადამიანს, რომელსაც შეუძლია აღიაროს თავისი შეცდომები, მაგრამ ბოდიშის მოხდა ყოველთვის მტკივნეული უნდა იყოს. როცა ადამიანი ამას ძალიან იოლად აკეთებს და თანაც ეს მის თავმოყვარეობასაც არ ლახავს, მაშინ პატიების თხოვნა რაღაც ჩვეულებრივად იქცევა და ჩალის ფასი ექნება. პირადად ჩემთვის ძალზე მტკივნეულია ბოდიშის მოხდა. ვცდილობ, ნაკლებად შევცდე და ამიტომ ასჯერ გაზომილს ასმეერთედ ვზომავ, ხოლო, როცა ვცდები, ბოდიშსაც ვიხდი.

— **რა მოგცათ თქვენმა პროფესიამ და რა დაგაკარგვინათ?**

— უპირველესად ყოვლისა, „მაიძულა“ შემეძინა ის ცოდნა, რაც არ გამაჩნდა. პოლიტიკა უზომოდ საინტერესო სამყაროა, სადაც ზოგჯერ ერთად თამაშდება ტრაგედიაც და კომედიაც. ძალიან მიხარია, როცა პატარა დეტალის მიხედვით რაღაცას წინასწარ მიხვდები ხოლმე. როცა ჩემი პროგნოზი მართლდება, ეს არის უდიდესი პროფესიული სიამოვნება, რასაც, ალბათ, ვეღარაფერი შემიცვლის.

პროფესიის წყალობით ბევრი საინტერესო ადამიანი გავიცანი, თუმცა ბევრიც დავკარგე...

— **ხშირად კადრს მიღმა საინტერესო ფაქტები რჩება...**

— რაღაც აუცილებლად უნდა დარჩეს კადრს გარეთ. მაყურებელს სურვილი უნდა გაუჩნდეს, რომ ნანახის და მოსმენილის შემდეგ იფიქროს, იაზროვნოს. პირადად ჩემთვის გამაღიზიანებელია, როცა ეკრანიდან ჭკუას გარიგებენ. ასეა, ალბათ, სხვაც.

— **ჟურნალისტიკა თავგანწირვის ელემენტს შეიცავს. მხოლოდ ერთ-ერთ ცხელ წერტილში საომარი მოქმედებების დროს ოპერატორმა, გადაიღო... საკუთარი მკვლელი. ოპერატორს შეეძლო გაქცევა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა. იგი დაიღუპა, მაგრამ დატოვა უნიკალური კადრები. გადაღებების დროს დაიღუპა მეორე არხის რეჟისორი დავით ბოლქვაძე. როგორც ამბობენ, მასაც არ დაუხევია უკან...**

— ადამიანი, რა გინდ ნიჭიერი იყოს, თუ პიროვნული თვისებებიც არ უწყობს ხელს, პროფესიონალი ვერ გახდება. დათო ბოლომდე კაცად და პიროვნებად დარჩა. მან გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა. სამწუხაროა, რომ იმათი ხელით დაიღუპა, ვის მიმართ ზიზღიც კი არ ჰქონია (ზიზღსაც დამსახურება უნდა). ასეთი პროფესიონალები სჭირდება საქართველოს. სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებას არა აქვს სწორი დამოკიდებულება შრომისადმი. შრომა კი არ უნდა გვეცირცხვილებოდეს, უსაქმურობის უნდა გვრცხვენოდეს. ამერიკის ერთ-ერთი პრეზიდენტის მეუღლეზე მითხრეს — დაკოჟრილი ხელები აქვსო. ეს იმიტომ, რომ ნორმალური ადამიანია, უსაქმოდ ვერ ჩერდება. იმედია, ჩვენც მივეჩვევით, გაგვიჭირდება, მაგრამ მაინც მივეჩვევით შრომას, პროფესიონალების პატივისცემას, ვისწავლით საკუთარ ქვეყანაზე, როგორც არა საკუთრებაზე, არამედ როგორც საკუთარზე ზრუნვას. დავიწყებთ არა მხოლოდ წარსულით, არამედ მომავალით ცხოვრებას...

ჩვენ განსაკუთრებული არაფერი გვჭირს. მთავარია, ქართველები „შორ დისტანციაზე მორბენლები“ გავხდეთ. ყველაფერი დღეს, უცებ გვინდა. თუ ყველაფერი ლოგიკას ექვემდებარება, საქართველომ დაცემის პერიოდი უკვე გაიარა და მალე აღმასვლის დრო მოვა. ეს რომ არ მჯეროდეს, ალბათ, ყველაფერს დაეკარგებოდა აზრი.

რაც შეეხება ჩემდამი დამოკიდებულებას... დიდი მადლობა იმათ, ვისაც ვუყვარვარ! მაყურებელი გაცილებით მეტ სითბოს იჩენს ჩემს მიმართ, ვიდრე მეკუთვნის. ძალიან მიხარია, როცა ქუჩაში თუ ტელეფონით საუბრისას სრულიად უცნობი ადამიანები „შენობით“ მომმართავენ და ისე გულახდილად მელაპარაკებიან, როგორც ახლობელს. ვისაც არ ვუყვარვარ — ვუსურვებ, ამაზე დიდი პრობლემა ცხოვრებაში არ ჰქონოდეს. იმათაც დიდი მადლობა, რადგან ამგვარი დამოკიდებულებაც უკვე პოზიციაა.

მთავარია, ჩემი მაყურებლისათვის „სულ ერთი“ არ ვიყო. არ მიყვარს, როცა „სულ ერთი“ ვარ!

მარინე ნაკაიძე.

ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური. [illegible]

უკანასკნელ ხანს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურისადმი მოსახლეობის არასახელმწიფოებრივი დამოკიდებულების, სახანძრო წესების და ამ სამსახურის ფუნქციების უგულებელყოფის შედეგად, რესპუბლიკის ტერიტორიაზე სახალხო მეურნეობისა და კულტურის უამრავი ობიექტი განადგურდა, ისედაც მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფმა ქვეყანამ უდიდესი მატერიალური და სულიერი ზარალი განიცადა. ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური თავისი შინაარსისა და ტელეფონის რიგითი ნომრის (01) მიუხედავად საზოგადოებისათვის თითქოს რუდიმენტად, ანუ სახელმწიფო ორგანიზმის ზედმეტ საზედამხედველო ორგანოდ გადაიქცა სახანძრო უსაფრთხოების დარგში.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის ორგანიზაციის სრულყოფის მიზნით, 1994 წლის 7 დეკემბერს მიიღო დადგენილება № 845, რომლის საფუძველზეც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის სამმართველო გადაკეთდა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარ სამმართველოდ და დამატებით დაეკისრა ზოგიერთი ფუნქცია, რომლებიც აქამდე მას არ გააჩნდა.

შსს ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის პრესცენტრი.

ხროვის ნაკვალევი იალაღებისკენ მიდის

სწორედ რომ, მოთქვამდა და გოდებდა „ლილეოს“ მთქმელი, ამაყი და უდრეკი სვანეთი. არა, გარეშე მოძალადესა და მომხვდურს არ შეუწუხებია ის! აქაურმა, საკუთარმა სისხლმა და ხორცმა უმუხთლა და შეავიწროვა ერთ დროს უბატონო მთა.

ამჯერად არ ვარ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სვანეთში განხორციელებული ფართომასშტაბიანი ოპერაციის მონაწილე. ამის საკომპენსაციოდ ამავე სამინისტროს პრესცენტრის უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკ ვალერიან გოგოლაშვილის საუბარს მოგაწვდით.

— შემთხვევითი არ იყო, რომ ეს ღონისძიება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის უშუალო მითითებით განხორციელდა, — დაიწყო საუბარი ბატონმა ვალერიანმა, — სვანეთის, ამ უმშვენიერესი კუთხის მოსახლეობას სოციალურ-ეკონომიკურ სირთულეებთან ერთად, თავს დაატყდა კრიმინალური სამყაროს არნახული რისხვა: ძარცვა, ყაჩაღობა, მკვლელობები.. ყაჩაღურმა ბანდებმა პრაქტიკულად ხელში ჩაიგდეს სვანეთის მაცოცხლებელი ერთადერთი საავტომობილო მაგისტრალი, იძარცვებოდა ჰუმანური დახმარების ტვირთი, ბარში გასაყიდად ვერ მოჰქონდათ კარტოფილი, ხორცი, ხე-ტყე.

ძალადობამ და განუკითხაობამ დაისადგურა წესრიგით განთქმულ სვანეთში. ყველა ყაჩაღ-მძარცველი და მკვლელი თითქოს ცნობილი იყო, მაგრამ დღემდე არც ერთი მათგანი არ წარმდგარა მართლმსაჯულების წინაშე. იმ ყაჩაღთა ვინაობაც კარგად იცოდნენ, ხელისუფლების მიერ გამოგზავნილ, ფქვილითა და სხვა პროდუქტებით დატვირთულ ავტომანქანებს რომ ძარცვავდნენ; მაგრამ რა გინდა?! — ადგილობრივი პოლიცია და სხვა სამართალდამცავი ორგანოები, ფაქტობრივად, დაშლილი იყო და სხვას რა უნდა ელონა?!

მხარის ასეთ მდგომარეობას მესტიის რაიონის გამგებლის ოთარ ნაკანის მეტად საეჭვო კონცეფციამაც შეუწყო ხელი. მისი ინიციატივით გადაწყდა, რომ ყოველ კონკრეტულ დანაშაულზე ჯერ თემებისა და საძმოების წარმომადგენელთა საბჭოებს უნდა ემსჯელათ. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ისინი ჩათვლიან, რომ „კაცი დასაჭერია“, დამნაშავის საქმეს პოლიციას გადასცემენ.

გამგებელმა თქვა, სისხლის აღების წესიც აღვადგინეო. საბედნიეროდ, ხალხი არ აჰყვა გამგებლის ნებას და დღემდე სისხლის აღების არც ერთი შემთხვევა არ დაუფიქსირებიათ. ხალხს მიაჩნია, რომ მკვლელს მხოლოდ კანონმა უნდა მიაგოს მისაგებელი.

მართლაც, ძველი კეთილი ტრადიციები უნდა აღვადგინოთ, მაგრამ დანაშაულისა და სასჯელის საკითხი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსმა უნდა გადაწყვიტოს; სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციების ნიველირებამ უკვე გამოიღო თავისი მწარე ნაყოფი. მესტიის პოლიციაში ოთხი თანამშრომელიღა დარჩა. გზებზე მომხდარ ყაჩაღობათა უმეტესობაზე არ აღძრულა სისხლის სამართლის საქმე, მკვლელობათა გამოძიებაც კი არ დაუწყიათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას ჯერ კიდევ შარშან, გაზაფხულზე უნდოდა რეგიონში ფართომასშტაბიანი ოპერაციის მოწყობა, მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო, მაშინ ეს ვერ მოხერხდა. ისიც იცოდა ყველამ, რომ ქვემო ქართლისა და სხვა რეგიონების ოპერაციების შემდეგ, ბევრმა ყაჩაღ-ბანდიტმა, სწორედ სვანეთს შეაფარა თავი. ცოტა ხანში კი, აქაც იმძლავრა ძარცვა-ძალადობამ. ამ დროს, შარშან, როცა სამინისტროს საკმაოდ მძლავრმა ოპერატიულმა რაზმმა ყაჩაღებისგან გაათავისუფლა ჯვარ-მესტიის საავტომობილო გზა, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ მიზანშეწონილად არ ჩათვალა იქ პოლიციის დიდი ხნით დარჩენა, აქაოდა, გზას ჩვენი ძალებით გავაკონტროლებთო; არადა, იმთავითვე აშკარა იყო, რომ სვანეთის დაშლილი და დაუძლურებული პოლიცია, ამ რთულ მისიას თავს ვერ გაართმევდა. ასეც მოხდა.

ისიც სამწუხაროა, განაგრძობს საუბარს პრესცენტრის უფროსი, რომ ამ ურთულეს სიტუაციაშიც გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც ცდა არ დააკლეს, რათა ხელი შეეშალათ პოლიციის სვანეთში შესვლისა და იქ ღონისძიების ეფექტიანად განხორციელებისათვის.

ბოლოსდაბოლოს, სახელმწიფოს მეთაურის უშუალო ჩარევით, საქმე მოგვარდა და პოლიციის ძალები, მძიმე ტექნიკითა და სათანადო შეიარაღებით, ზუგდიდზე გავლით, ენგურის ხეობაში შევიდნენ.

22 თებერვალს, გამთენიისას, დაბა ხაიშში, ჭუბერში, ვედსა და სხვა სოფლებში ოპერაცია დაიწყო.

იოლი როდი იყო თოვლიანი, კლდე-ქარაფებზე დაკიდებული გზა-ბილიკებით პატარ-პატარა დასახლებებამდე მისვლა.

ერთ-ერთმა ოპერატიულმა ჯგუფმა სოფელ ვედში, ამირო გელოვანის სახლში 4 ავტომატი, 4 გაუფორმებელი სანადირო თოფი, ავტომატის 8 მჭიდი, ერთი ყუთი მსხვილკალიბრიანი საბრძოლო ვაზნები, ასაფეთქებელი მოწყობილობა და დიდძალი ნარკოტიკული ნივთიერება — მარიხუანა აღმოაჩინა. აქვე, ეზოში იდგა ორი მოტაცებული ავტომანქანა.

სოფელ ჭუბერში, ერთ-ერთ ბინაში 7 ავტომატი და 1 ყუმბარმტყორცნი იპოვეს; ჩვენდა გასაკვირად, შაშხანები ტყეში, ხეებზე დაეკიდათ.

ერთად უნდა ვებრძოლოთ

სოფელ ვედში, ტარიელ ჭკადუას ეზოში ყუმბარმტყორცნიდან გასროლილი ჭურვი იგდო, სახლის სხვენში ჯავშანჟილეტი გადაემალათ. ბინის გაჩხრეკისას აღმოჩნდა, რომ ბავშვის, 7 წლის მინდიას საწოლში, ბალიშქვეშ, ქაღალდში გახვეული ნარკოტიკული ნივთიერება იდო. ოჯახის დიასახლისმა განაცხადა, ნარკოტიკულ ნივთიერებებს ბავშვის ბიძა ხმარობსო.

დავრწმუნდით, რომ ხაიშის შემოგარენში, პრაქტიკულად, თითქმის ყველა ოჯახი თესავს და ამზადებს ნარკოტიკულ ნივთიერებებს. სოფელ ვედის მცხოვრების ფრიდონ გვიშიანის ოჯახში პოლიციელებმა ავტომატის მჭიდების, ჯავშანჟილეტისა და ტყვიების გარდა, 15 კილოგრამი ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მცენარის თესლი იპოვეს.

პოლიციამ იცოდა, რომ სოფელ ჭუბერშიც იყო დიდძალი იარაღი და მოტაცებული ავტომანქანები.

საუბედუროდ, ზუგდიდის წინაღობამ, გარკვეული ძალებისა და პირების ინტერესმა დამნაშავეებს ხელი შეუწყო საფრთხის ზონის დროულად გარიდებასა და ცეცხლსასროლი იარაღის დიდი ნაწილის საიმედოდ გადამალვაში.

თუმცა მათ ვერაფერი მოუხერხეს მოტაცებულ ავტომანქანებს. მარტო ამ სოფელში 200-ზე მეტი მსუბუქი და სატვირთო ავტომანქანა ამოიღეს, რომელთა დიდი ნაწილი ავაზაკებმა წაართვეს ან ჩალის ფასად დასტყუეს აფხაზეთიდან ლტოლვილ გაჭირვებულ თანამემამულეებს.

რასაკვირველია, ვერავინ შეძლებდა ამდენი ავტომანქანის წამოღებას, ადგილზე დარჩენილი სპეციალური ოპერატიული ჯგუფი სათანადო მოკვლევის შემდეგ, მათ კანონიერ პატრონებს დაუბრუნებს. ბევრი ავტომანქანა ასევე ჩალის ფასად ადგილობრივ მოსახლეობას მიჰყიდეს, ვედელმა ცოლ-ქმარმა ზაქრო ჭკადუამ და ლელა ფრიდონაშვილმა კარგ გამართულ ავტომანქანაში 2 ოქროს ბეჭედი მისცეს, ამავე სოფლელმა ვახტანგ გვიჭიანმა კი სულ რაღაც 100 ათას მანეთად საქენში „ჟიგული“ შეიძინა...

სოფლები ეცერი, ბეჩო, დაბა მესტია... აქაც დიდძალი იარაღი და მოტაცებული ავტომანქანები აღმოჩნდა. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ბოროტმოქმედთა დიდმა ნაწილმა ოპერაციის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მოახერხა გაქცევა და იარაღის გადამალვა.

მესტიისაკენ გავეშურეთ. სვანეთის გზებზე ზამთარში კი არა, ზაფხულშიც ჭირს მგზავრობა. ყოველ ნაბიჯზე ნამქერი, ზვავი, კლდიდან ჩამოცვენილი ლოდები, თოვლ-ყინულის მორევი გვიღობავს გზას. სამხიდიან ავტომანქანებსაც უჭირთ მოძრაობა.

საჭირო გახდა მთებში, საზაფხულო იალაღების ზონაში განლაგებული სადგომების ნახვა და შემოწმება. შესაძლო იყო, რომ ბოროტმოქმედებმა დროებით, სწორედ აქაურობას შეაფარეს თავი. მაგრამ როგორ უნდა ახვიდე მთაში, სადაც ახლა თოვლის სიმაღლე 1,5 მეტრს აღწევს?

მესტიაში სპეციალური ვერტმფრენი ჩამოფრინდა. თუმცა, მანაც ვერ დაიტია გია გულუას სახელობის სპეცდანიშნულების რაზმისა და შინაგანი ჯარის სადესანტო-მოიერიშე ბატალიონის ამ სახიფათო ექსპედიციაში გამგზავრების ყველა მსურველი.

შემოწმეს ყველა ადგილი, სადაც ბოროტმოქმედებს შეეძლოთ თავის შეფარება. როგორც გაირკვა, ამ თოვლში მათაც გასჭირვებოდათ აქ ამოსვლა. ისინი სხვაგან უნდა ეძებონ. მინისტრის ბრძანებით, ადგილობრივ პოლიციასთან ერთად რეგიონში მუშაობას განაგრძობს რამდენიმე ოპერატიული ჯგუფი. ისინი სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით შეეცდებიან მასობრივ ყაჩაღობებში, მკვლელობებსა და ნარკოტიკული ნივთიერებების გასაღებაში შემოტანილი ბანდიტური ჯგუფების გამოვლენასა და დაკავებას.

ოპერატიული ჯგუფის ამ ჩამოფრენას სხვა დანიშნულებაც ჰქონდა. მინისტრის ბრძანებით, შემოწმდა ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელი უღელტეხილები. ეს იმისთვის იყო საჭირო, რომ დავრწმუნებულიყავით, შეძლებენ თუ არა ზამთრის პირობებში ამ ბილიკების გამოყენებას ის ბოევიკები, ჩეჩნეთის მოვლენების გამო მეზობელი რესპუბლიკიდან რომ გამორბიან. სპეციალური ოპერჯგუფი ამ მიმართულებითაც იმუშავებს.

არანაკლებ დიდ პრობლემას წარმოადგენს ხალხის ხელში თავმოყრილი დიდძალი ცეცხლსასროლი იარაღის ამოღება. ოპერაციის მსვლელობისას მოსახლეობას შესთავაზეს, რომ თუ ნებაყოფლობით ჩააბარებდნენ იარაღს, განთავისუფლდებოდნენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამ წინადადებას დიდი ინტერესით გამოეხმაურნენ.

დასასრულ, პოლიციის პოლკოვნიკმა ვალერიან გოგოლაშვილმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მძიმე ტექნიკითა და სათანადო შეიარაღებით აღჭურვილი 1800-კაციანი რაზმი, რომელიც მთელი კვირის განმავლობაში დარჩა რეგიონში, მძიმე ტვირთად არ დასწოლია ისედაც გაჭირვებულ მოსახლეობას.

ტექნიკას საწვავი არ აკლდა და პოლიციელს საჭმელი, საველე სამზარეულო დღეში სამჯერ გვიმასპინძლდებოდა.

სვანეთის გამრჯე და პატიოსანი მოსახლეობა ვერ ეგუება ძალადობას, ძარცვა-გლეჯას... ხალხი მზად არის მხარში ამოუდგეს სამართალ-დამცავ ორგანოებს და, შეძლებისდაგვარად, მათთან ერთად იბრძოლოს...

ზაურ მაკარაძე.

სხვა გაზეთებიდან

„საქართველოს ბავშვთა სახლებში დისტროფიით იხოცებიან“

ამ დღეებში „კომსომოლსკაია პრავდამ“ გამოაქვეყნა სტატია — „საქართველოს ბავშვთა სახლებში დისტროფიით იხოცებიან“ (ავტორი სერგეი ჩერნიხი).

ავტორი წერს იმ საშინელ პირობებზე, რომელშიც ცხოვრობენ ბავშვები კასპის საბავშვო სახლში („ნაგვის გროვები ყოველ კუთხეში, წარმოუდგენელი სიცივე, საზარელი სუნი და გაუვალი ტალახი. ყველაფერ ამას ემატება გაზისა და ელექტროენერგიის უქონლობა. დამტვრეულ საწოლებზე დახვავებულია ძონძების გროვები, რომელშიც იხვევიან ბავშვები. ბავშვებს სნეულებათა მთელი კომპლექსი აქვთ, მაგრამ ყველაზე გავრცელებულია დისტროფია“). ავტორი წერს, რომ საქართველოს სამ ასეთ დაწესებულებაში ყოველთვიურად კვდება ოცი ბავშვი. „სექტემბერში კასპის პატარების სახლში 62 ბავშვი ცხოვრობდა. ახლა 56 დარჩა...“

ამას მოსდევს შემზარავი ამბავი, თუ რითი დამთავრდა ამერიკული ასოციაცია „ფრანკის“ საქველმოქმედო აქცია საქართველოში, რომელიც თბილისის აეროპორტში იმით დაიწყო, რომ მუშებმა უარი თქვეს უფასოდ გადმოეტვირთათ რესპუბლიკის ობლებისათვის გამოგზავნილი ჰუმანიტარული დახმარების ყუთები.

„— თქვენ ადამიანები ხართ?! — უყვიროდა აეროპორტის მუშებს დელეგაციის ხელმძღვანელი ნინა კოსტინა. — ეს ხომ თქვენი ბავშვებისაა!“

„შემდეგ იგივე მეორდება. ტვირთის შენახვა — დოლარებზე, ტრანსპორტი — დოლარებზე, სასტუმრო — დიდ დოლარებზე, ადგილობრივ ხალხზე არავითარი არგუმენტები არ მოქმედებდა, არც ის, რომ ჯგუფში ჩართული იყო ნობელის მშვიდობის პრემიის ლაურეატი ბეტი უილიამსი.

უცხოელებმა, რომლებიც საქართველოში ჩამოდიან, კარგა ხანია გაიგეს — იმისათვის, რომ თქვენი საქმე გადაწყდეს, პირდაპირ შევარდნაძესთან უნდა მოხვიდეთ; სხვა პასუხისმგებელი პირები საქართველოში, უბრალოდ არ არიან“.

შემდეგ ავტორი წერს, რომ ასოციაციის წევრები უშუალოდ გაჭირვებულებს გადასცემდნენ ჰუმანიტარულ დახმარებას. უკვე გადაცემული ტვირთის ბედ-იღბალზე კი მკითხველი შეიტყობს მასალაში სათაურით „როცა ნომერი იკვრებოდა“.

„საქართველოდან წასვლის შემდეგ ერთი კვირა იქნებოდა გასული, რომ ამერიკელებმა შეაგროვეს კიდევ ექვსი ყუთი ჰუმანიტარული დახმარება და გადაწყვიტეს მოინახულებინათ მათ მეურვეობაში მყოფი კასპელი ბავშვები. ოცდათხუთმეტი ყუთი მედიკამენტებიდან, ტანსაცმლიდან, პროდუქტებიდან და საჩუქრებიდან არაფერი დარჩენილა. სრულიად არაფერი.

ბავშვების სიტყვებით, აღმზრდელებმა იმავე ღამით საგულდაგულოდ შეაგროვეს მთელი ჩამოტანილი ავლადიდება და მარხილებით თავიანთი სახლებისაკენ გააქროლეს“.

„სრ“ რედაქციისაგან: ვაქვეყნებთ ამ მასალას და ვიმედოვნებთ, რომ როგორც საავიაციო ტრანსპორტის დეპარტამენტის, ასევე ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა შეისწავლის ფაქტებს და შედეგებს ჩვენს მკითხველებსაც აცნობებს.

ხსოვნა

ივანე ბახტაძე

გარდაიცვალა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, საქართველოს სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, შრომის ვეტერანი, აფხაზეთში მოღვაწე **ივანე ვიქტორის ძე ბახტაძე.**

დაიბადა 1906 წელს, დაბა ხონში. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1937 წლიდან მუშაობდა სოხუმის რაიონის სოფ. ბაბუშერის სკოლის ქიმია-ბიოლოგიის მასწავლებლად, სასწავლო ნაწილის გამგედ, დირექტორად, 1944-47 წლებში იყო გულრიფშის რაიონის განათლების განყოფილების გამგე, შემდეგ — გაგრის მე-2 და სოფ. ალახაძის საშუალო სკოლების დირექტორი, გულრიფშის რაიონის სოფ. განახლებისა და დრანდის საშუალო სკოლების სასწავლო ნაწილის გამგე. პენსიაზე გასვლის შემდეგაც აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. უმწიკვლო და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვებული იყო მედლებით „შრომითი წარჩინებისათვის“, „შრომითი მამაცობისათვის“ და სხვ.

გულისხმიერი პედაგოგის ივანე ბახტაძის ხელში არაერთი თაობა დაფრთიანდა. მისი ნათელი ხსოვნა მარად დარჩება ათასობით აღზრდილისა და კოლეგების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის კოლექტივი სამძიმარს უცხადებენ ჟურნალისტ ნანა ლომაიას დედის

ლამარა ვლადიმერის ასულ ტიბუა-ლომაიას

გარდაცვალების გამო.

არჩევნების წინ

სტუმრად გორში

ფეიქართა კულტურის სასახლის ვეებერთელა სააქტო დარბაზმაც კი ვერ დაიტია საზოგადოება „არჩევნების“ გამგეობის წევრებთან, მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელებთან, ბატონ ჯაბა იოსელიანთან შეხვედრის ყველა მსურველი.

გაიმართა ფართო და საგნობრივი მსჯელობა საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების გზებზე, მომავალი საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადებაზე.

ბატონმა ჯაბა იოსელიანმა ქ. გორისა და გორის რაიონის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს, შიდა ქართლში საქართველოს ტელევიზიის საკუთარ კორესპონდენტს, მხედრიონის რაზმის მებრძოლს ქალბატონ მაყვალა ოქროპირიძეს გადასცა ღირსების ორდენი, რომლითაც იგი სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 4 დეკემბრის ბრძანებულებით დაჯილდოებულია სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს გამოჩენილი თავდადებისათვის.

შეხვედრის დასასრულს ბატონმა ჯაბა იოსელიანმა პასუხი გასცა დამსწრეთა მრავალრიცხოვან შეკითხვებს.

გურამ ვაშაკიძე.

რა ენა წახდეს...

მხოლოდ მეთვალყურე!

„საქართველოს რესპუბლიკაში“ მრავალგზის დაიწერა, რომ ტელევიზიის ყველა არხისა და წვრილ-წვრილი გაზეთების ჟურნალისტებმა დაიჟინეს და ზოგიერთ რუსულ გამოთქმას არასწორად ამბობენ ეკრანიდან და წერენ. მხედველობაში მაქვს რუსული «Наблюдатель»-ის ქართული შესატყვისი. ისინი ხმარობენ „დამკვირვებელს“ თქვენი გაზეთი კი „მეთვალყურეს“. რომელია სწორი?!

არც ერთი არ სცდებით, ორივე სწორი ხართ, მაგრამ საქმე ის არის, თუ სად, რა კონტექსტში ხმარობთ არსებითად სწორ ტერმინებს, რომლებიც „საქართველოს რესპუბლიკაში“ სწორად ჟღერს, სხვაგან კი დისონანსს იწვევს.

თავის დროზე დიდი ინგლისელი მწერალი ჯონათან სვიფტი წერდა: „საჭირო სიტყვა — საჭირო ადგილზე. — აი, რა არის სტილი“... თუ ტექსტში საუბარია «О международных или военных наблюдателях», მაშინ თქვენ სწორად წერთ — ისინი **მეთვალყურეები** არიან, ხოლო თუ ლაბორატორიაში ან მინდვრად აყენებენ ცდებს, მაშინ სწორი იქნება, თუ ვიხმართ სიტყვას **დამკვირვებელი.**

ჩავიხედოთ აკადემიურ რუსულ-ქართულ ლექსიკონში. იქ შავით თეთრზე სწერია: Наблюдатель — დამკვირვებელი; თვალისმდევნებელი; მეთვალყურე; მზირი... აქვე რამდენიმე მაგალითიც არის მოყვანილი, მათ შორის არასწორად არის განმარტებული Артиллерийский наблюдатель — არტილერიის მეთვალყურე. აქ მეთვალყურე მცდარად არის ნახმარი, უნდა იყოს **მეთვალთვალე.** ლექსიკონის შემდგენელს უთუოდ არ სცოდნია ის, რაზედაც წერს — არტილერია. არტილერიის, და საერთოდ **მეთვალთვალე,** ის პირია, **ვინც ბრძოლის მოწინავე ხაზზე ოპტიკური თუ სხვა მექანიკურ-ელექტრონული მოწყობილობების მეშვეობით თვალს ადევნებს, უთვალთვალებს მოწინააღმდეგის პოზიციებს, საცეცხლე წერტილებს და თავის მეთაურს გადასცემს მათ კოორდინატებს...**

აქვე უნდა განვმარტოთ, რომ სიტყვაუხვი რუსული ენა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ღარიბი გამოდგა. ამ მოქმედების ნიუანსების განსამარტავად ქართველებს უამრავი კონკრეტული შესატყვისი ტერმინი გვაქვს: დამკვირვებელი; მეთვალყურე, მზირი; მეთვალთვალე; თვალისმადევნებელი... ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი რომ გადავშალოთ, ალბათ, რამდენსამე შესაბამის ტერმინს კიდევ გამოვძებნით, რომლებიც „უომრობის“ ორასი წლის მანძილზე უხმარობის გამო ქართველებმა დავივიწყეთ. ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ტერმინი სწორია, კანონიერია, მართლწერის ნორმებს შეესაბამება, მაგრამ თითოეული მათგანი, ვიმეორებ, საჭიროებისამებრ, თავისი შინაარსის მიხედვით უნდა ვიხმაროთ და არა ისე, როგორც ზოგიერთს ჰგონია: ლექსიკონში დამკვირვებელი პირველი სწერია, მეთვალყურე — მესამე, მაშ უპირატესობა რატომ ამ უკანასკნელს უნდა მივანიჭოთ?! მათ ავიწყდებათ, რომ ეს ტერმინები სრულიადაც სინონიმები არ არის, თითოეულ მათგანს კონკრეტული შინაარსობრივი დატვირთვა აქვს და საჭიროების მიხედვით უნდა შევარჩიოთ — ამოვარჩიოთ. ასე რომ, თქვენი გაზეთი სწორად ხმარობს: Международный, военный наблюдатель არის **მეთვალყურე** და არა დამკვირვებელი და თქვენი მრავალგზისი შენიშვნა რუბრიკით „რა ენა წახდეს“ სხვა გამოცემებმა და რადიო-ტელევიზიამ ყურად უნდა იღოს. გაზეთში შენიშვნებიც ხომ იმიტომ იწერება, რომ უცოდინარმა ისწავლოს და, როგორც ჩვენი სულნათელი წინაპარი იტყოდა, „ულვაშზე დაიხვიოს“.

მე მხოლოდ მინდა ვურჩიო მათ: იკითხონ თქვენი გაზეთი.

ენათმეცნიერი.

მიხეილ ჭაბაშვილი.

პრეტენდენტთა მატჩი

სანქტ-პეტერბურგში გრძელდება ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი მაია ჩიბურდანიძესა და ჟუჟა პოლგარს შორის. სამი პარტიის შემდეგ ანგარიშით 2:1 დაწინაურდა უნგრელი დიდოსტატი. შეგახსენებთ, რომ მეტოქეთა ადრინდელი ორთაბრძოლების საერთო ბალანსიც მის სასარგებლოდაა (+2 ქულა).

პირველ პარტიაში დაფიქსირებული სწრაფი ყაიმის შემდეგ ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონს თეთრი ფიგურებით მეორე შეხვედრაში აშკარა უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ კრიტიკულ პოზიციაში უზუსტესი სვლებით, აგრეთვე მაიას აჩქარებით (მან ნაადრევად გაცვალა მხედრები) მოწინააღმდეგემ მუდმივი ქიშის მხსნელ ვარიანტს მიაგნო და ნახევარი ქულა გადაარჩინა. ალბათ, ამ დასანანი დაზავებით გამოწვეული ფსიქოლოგიური დარტყმის გამოძახილი იყო ის უხეში ტაქტიკური შეცდომები, რომლებიც ჩიბურდანიძემ მესამე პარტიაში დაუშვა და დამარცხდა.

წუხელ გვიან ღამით დამთავრდა მეოთხე პარტია.

გოლების წვიმა

იტალიის ფეხბურთელთა ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტური უჩვეულო შედეგიანობით აღინიშნა. ასე მაგალითად, რომის „ლაციომ“ შინ გაანადგურა გენუის „სამპდორია“ — 8:2, ხოლო „მილანმა“ სტუმრად შავი დღე აყარა „რეჯანას“ — 5:0.

ტურნირს ძველი ლიდერები ჰყავს — ტურინის „იუვენტუსი“ და „პარმა“.

დამოუკიდებელი აუდიტორულ-საკონსულტაციო ფირმა „ჭეშმარიტება“

გთავაზობთ ფიზიკურ და იურიდიულ პირთა სამეწარმეო საქმიანობის საბუღალტრო აუდიტორულ შესწავლა-შემოწმებას და აუდიტური დასკვნების მომზადებას, ექსპერტიზებსა და საკონსულტაციო მომსახურებას.

მისამართი — ყაზბეგის, 12 (საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის შენობაში, ოთახები 511-512).

ტელეფონები — 36-51-98, 36-50-18.

კაზინო „ივერიას“
ესაჭიროება მომსახურე პერსონალი ქალიშვილები,
25-დან 35 წლამდე მომავლები, სიმაღლე 1მ. 90 სმ.,
კარგი ფიზიკური აღნაგობით, ფულადი
ანაზღაურება მაღალი.
გთხოვთ, მიმართოთ კაზინო ივერიის დირექტორს
ბატონ [illegible].
ყოველ დღე, საღამოს 8-დან 10 საათამდე.
მისამართი: ინაშვილის 6, სასტუმრო „ივერია“.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

ინდექსი 66473